განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

## საზოგადოებრივი ჯანდაცვის საგანმანათლებლო პროგრამა, მაგისტრატურა

## თბილისის სამედიცინო სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 1 ნოემბერი, 2021 წ.

დასკვნის წარდგენის თარიღი 29 ნოემბერი 2021

თბილისი

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საჯარო სამართლის იურიდიული პირი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 211328703 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | საზოგადოებრივი ჯანდაცვა Public Health |
| უმაღლესი განათლების საფეხური | მაგისტრატურა |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2] | საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრი Master of Public Health |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | ჯანდაცვა – არაკლასიფიცირებული 0919 |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში) | - |
| სწავლების ენა | ქართული |
| ECTS კრედიტების რაოდენობა | 120 ECTS |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი) | პირობით აკრედიტებული 2/06/2020; MES 0 20 00464375 |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | თამარ ლობჯანიძე - შპს „საქართველოს უნივერსიტეტი“, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ირინე ფხაკაძე - სსიპ „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | მიხეილ ბიჭია - სსიპ „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ (მოწვეული ლექტორი), საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ლანა ბოკუჩავა - ა(ა)იპ „ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი“, მედიცინის პროგრამის დოქტორანტი |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

აკრედიტაციაზე წარმოდგენილია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამა, რომელმაც 2020 წლის ივნისში გაიარა აკრედიტაცია (2020 წლის 12 ივნისის N464375 გადაწყვეტილება, MES 2 20 00463431 სხდომის ოქმის №01) მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია.

დღეისათვის არსებული პროგრამა (2020 წელს აკრედიტებული) წარმოდგენილია დადგენილი რეკომენდაციების გათვალისწინებით. პროგრამაში ცვლილებები შეეხო შემდეგს: 1. პროგრამის მიზნის ფორმულირებას; 2. სწავლის შედეგებს; 3. სასწავლო კურსების რაოდენობას, დასახელებასა და შინაარსს; შესაბამისად, განახლდა სასწავლო კურსების სილაბუსები) პროგრამის სწავლების ხანგრძლივობა შეადგენს 2 წელს, 4 სემესტრს და მოიცავს 120 ECTS, მ.შ. 30 ECTS სამაგისტრო ძირითადი საგნის სტატუსით არის „სასწავლო პროფესიული პრაქტიკა“ ხანგრძლივობა 10 ECTS, პროგრამაში არჩევითი საგნების კრედიტია 10 ECTS.
წინამდებარე სამაგისტრო პროგრამა აგებულია 5 ძირითად მიმართულებაზე, რომელიც მოიცავს ეპიდემიოლოგიასა და ბიოსტატისტიკას, ჯანდაცვის სოციალურ და ბიჰევიორისტულ ასპექტებს, ჯანდაცვის პოლიტიკასა და მენეჯმენტს, ეკოლოგიურ და გამოყენებით საზოგადოებრივ ჯანდაცვას. აღნიშნული შეესაბამება საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში წარმოდგენილ განათლების სტანდარტებს, რომლებიც განსაზღვრული აქვს ASPHER (ევროპის რეგიონის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სკოლების ასოციაცია) ორგანიზაციას.

მოქმედი პროგრამა დაფუძნებულია 2008 წელს თსსუ საზოგადოებრივი ჯანდაცვის საერთაშორისო სკოლის ფარგლებში, სადაც მრჩეველთა საბჭოში შედიოდა აშშ-სა და მსოფლიოში აღიარებული დარგობრივი სპეციალისტები ნიუ-იორკის შტატის

უნივერსიტეტიდან, ოლბანი. შესაბამისად, საქართველოს საჭიროებებიდან გამომდინარე, ჩამოყალიბდა საზოგადოებრივი ჯანდაცვის თანამედროვე პროგრამა, რომელმაც წლების განმავლობაში განიცადა სათანადო მოდერნიზება-განვითარება.

2013–2015 წლებში აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში რიგმა მაგისტრანტებმა სემესტრული სწავლებები გაიარეს აშშ ემორის უნივერსიტეტის როლინსისა და ნიუ-იორკის სახელმწიფო უნივერსიტეტის ოლბანის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლებში შესაბამისი საგრანტო დაფინანსებით.
კურსდამთავრებულები დასაქმებულები არიან სახელმწიფო და კერძო წამყვან ჯანდაცვით დაწესებულებებში.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამა აკრედიტებულია, პროგრამას პირობითი აკრედიტაცია მიენიჭა 2020 წლის 12 ივნისის N464375 გადაწყვეტილებით. სხდომის ოქმის ნომერია N463431 (12/06/2020). რეკომენდაციების მიხედვით, 2021 წლის 1 ნოემბრისთვის განახლდა და ცვლილებები განიცადა პროგრამის მიზნის ფორმულირებამ, სწავლის შედეგებსა და სილაბუსებში შევიდა გარკვეული კორექტივები თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების (ოქმი #10), 2021 წლის 24. 05.) შესაბამისად.

## აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

ვიზიტი შედგა დისტანციურ რეჟიმში, MES 1 21 0001116707 20/10/2021 აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „საზოგადოებრივი ჯანდაცვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების შესახებ ბრძანების შესაბამისად.

ვიზიტი წარიმართა ონლაინპლატფორმის (Zoom-ის) დახმარებით, კონსტრუქციულ და კეთილგანწყობილ გარემოში. ექსპერტების მიერ გამოთხოვილი ინფორმაცია წარდგენილ იქნა დაბრკოლების გარეშე. დაგეგმილ სესიებზე შეხვედრები მოხდა დადგენილ დროთა ინტერვალებში, შედგა კოლეგიალური და არსობრივი დიალოგი, რომელიც მეტწილად მოიაზრებდა საბჭოს მიერ 2020 წლის 12 ივნისს განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების მიღწევების შეფასებებს. ექსპერტთა ჯგუფს მიეცა შესაძლებლობა, დისტანციურად დაეთვალიერებინა ბიბლიოთეკა, გასცნობოდა მისი მუშაობის პრინციპებს, მოეძიებინა და ენახა გამოთხოვილი ლიტერატურა.

ვიზიტის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ გააცნო დაწესებულებას ჯგუფის წევრებთან შეჯერებული მიგნებები.

## ) საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

სტანდარტი 1 - სრული შესაბამისობა

სტანდარტი 2 - მეტწილად შესაბამისობა

სტანდარტი 3 - სრული შესაბამისობა

სტანდარტი 4 - სრული შესაბამისობა

სტანდარტი 5 - სრული შესაბამისობა

## რეკომენდაციები

1. 1.1/ **რეკომენდებულია,** საზოგადოებირვი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამის მიზანში მეტი ჩაღრმავებით გამოიკვეთოს, თუ რა ცოდნისა და უნარების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული პროგრამა;

   ***დაწესებულების არგუმენტირებული პასუხი:*** ზოგადად უნივერსიტეტი გამოთქვამს მზაობას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რჩევები და გარკვეული რეკომენდაციები გაითვალისწინოს პროგრამის განსავითარებლად („...აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რჩევები და გარკვეული რეკომენდაციები პროგრამის განვითარებისათვის მნიშნელოვანია, ისინი აუცილებლად იქნება განხილული ფაკულტეტის საბჭოსა და კურიკულუმის კომიტეტის ფორმატში“)
   ***ექსპერტთა პოზიცია :*** პოზიცია უცვლელია /დეტალური აღწერა იხილეთ 1.1. სტანდარტი/

2. **2.1/ რეკომენდებულია,** დაზუსტდეს პროგრამაზე არაჯანდაცვითი კვალიფიკაციის მქონე აპლიკანტებისთვის (ბიზნესის, ადმინისტრირებისა და სამართლის სფერო) პროგრამზე მიღების წინაპირობები ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნას პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა შერჩევა./

   ***დაწესებულების არგუმენტირებული პასუხი:*** მოცემული ტიპის და შინაარსის სამაგისტრო პროგრამაზე არაჯანდაცვითი კვალიფიკაციის მქონე აპლიკანტების მიღება აპრობირებულია რიგ ავტორიტეტულ, მაღალი რენომეს მქონე უნივერსიტეტებში, მაგალითად, იერუსალიმის ჰადასას უნივერსიტეტში, ბრაუნ-ბელეს საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლაში, ასევე, ატლანტას (აშშ) ემორის უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლაში. ამას გარდა, სააკრედიტაციო დოკუმენტებში იკითხება და ვიზიტის დროსაც აღინიშნა, რომ უნივერსიტეტში დადგენილი წესით სამაგისტრო პროგრამაზე მისაღების ე.წ. შიდა გამოცდის ჩატარება საზოგადოებრივ ჯანდაცვაში იძლევა აპლიკანტთა იმ ნომინალური უნარების დადგენის შესაძლებლობას, რაც აუცილებელია პროგრამით გათვალისწინებული ცოდნის, უნარების და კომპეტენციის მისაღებად
   ***ექსპერტთა პოზიცია: უცვლელი.*** *ექსპერტთა ჯგუფმა იმსჯელა მოწოდებულ პასუხზე და მიზანშეწონილად ჩათვალა რეკომენდაციების უცვლელად დატოვება, რამეთუ, 2.1 სტანდარტის რეკომენდაციაზე „არაჯანდაცვითი კვალიფიკაციის აპლიკანტებისთვის საზოგადოებრივ ჯანდაცვაში უნივერსიტეტის შიდა გამოცდის მხოლოდ ტესტური ფორმატი ვერ გამოდგება საზოგადოებრივი ჯანდაცვისთვის რელევანტური უნარებისა და ცოდნის არსებობის დადასტურების ადეკვატურ საშუალებად; საერთაშორისო გამოცდილება, რომელზეც უნივერსიტეტი მიუთითებს, წარმოდგენილია საზოგადოებრივი ჯანდაცვითი სათანადო უნარების ფლობის დადასტურების მრავალეტაპიანი შეფასებებით. (დეტალური აღწერა იხილეთ 2.1 სტანდარტში).*

3. 2.5/ **რეკომენდირებულია,** პროგრამაში აქტიურად იქნეს გამოყენებული ანალიტიკური უნარების გამომუშავებისთვის სწავლება-სწავლის მეთოდთა მეტი მრავალფეროვნება

(გონებრივი იერიში, დედუქცია-ინდუქცია, ანალიზი, სინთეზი, სოკრატესეული, კრიტიკული ანალიზი და სხვა)

***დაწესებულების არგუმენტირებული პასუხი:*** ზოგადად უნივერსიტეტი გამოთქვამს მზაობას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რჩევები და გარკვეული რეკომენდაციები გაითვალისწინოს პროგრამის განსავითარებლად („...აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რჩევები და გარკვეული რეკომენდაციები პროგრამის განვითარებისათვის მნიშნელოვანია, ისინი აუცილებლად იქნება განხილული ფაკულტეტის საბჭოსა და კურიკულუმის კომიტეტის ფორმატში“)

***ექსპერტთა პოზიცია:*** უცვლელი /დეტალური აღწერა იხილეთ 2.5. ქვესტანდარტი/

4. **4.2/ რეკომენდებულია** პროფესორ-მასწავლებელთათვის მეტი ეფექტურობითა და ინტენსივობით პროფესიული ტრენინგების შეთავაზება-გავლა, ამ მიზნით კი ინსტიტუციის მიერ სრული მხარდაჭერა და წახალისების სისტემის ფორმირება.

***დაწესებულების არგუმენტირებული პასუხი:*** *ზოგადად უნივერსიტეტი გამოთქვამს მზაობას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რჩევები და გარკვეული რეკომენდაციები გაითვალისწინოს პროგრამის განსავითარებლად („...აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რჩევები და გარკვეული რეკომენდაციები პროგრამის განვითარებისათვის მნიშნელოვანია, ისინი აუცილებლად იქნება განხილული ფაკულტეტის საბჭოსა და კურიკულუმის კომიტეტის ფორმატში“)*

***ექსპერტთა პოზიცია:*** უცვლელი /დეტალური აღწერა იხილეთ 4.2 ქვესტანდარტი/

5. 5.3/ **რეკომენდირებულია** კურიკულუმის ეფექტური განვითარების მიზნით როგორც შიდა, ასევე გარე ხარისხის მონიტორინგისა და სათანადო რეაგირების ღონისძიებების განხორციელების მიზნობრივი ინტენსიფიკაცია.

***დაწესებულების არგუმენტირებული პასუხი:*** ექსპერტთა რეკომენდაციის კონტექსტში მონიტორინგის შედეგებზე სათანადო რეაგირების ღონისძიებების განხორციელების მიზნობრივი ინტენსიფიკაციის შესახებ, ვადასტურებთ ვიზიტის დროს აღნიშნულ მოცემულობას გარე შეფასებისა და მონიტორინგის (მაგალითად, დამსაქმებლების მხრივ) ობიექტურ შეზღუდულობასთან და, შესაბამისად, ნაკლებეფექტურობასთან დაკავშირებით პანდემიის (და ე.წ. ლოკდაუნის) პირობებში.

***ექსპერტთა პოზიცია: უცვლელი.*** პანდემიის ფაქტორი მნიშვნელოვანია, ონალინ შესაძლებლობების გამოყენებამ ჩაანაცვლა პირისპირ კომუნიკაციის ნაწილი, ვფიქრობთ დაწესებულება გამოიყენებს მის ხელთ არსებულ მრავალფეროვან შესაძლებლობებს შიდა და გარე მონიტორინგისა და რეაგირების ინტენსიფიკაციისთვის (დეტალური აღწერა იხილეთ 5.3 სტანდარტში)

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1. 2.3/ სასურველია საგნის „საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამართალი“ სილაბუსის ლიტერატურა დამატებით შეივსოს ქართული რელევანტური ნაშრომებით; ასევე, საგნებში ინტერნეტწყაროებით მოწოდებული ლიტერატურა პერიოდულად გადამოწმდეს აქტიური ინტერნეტბმულების უზრუნველყოფის მიზნით, გასწორდეს ტექნიკური უზუსტობები;

2. 2.3/ კარგი იქნება, სასწავლო კურსის „გლობალური ჯანმრთელობა“ სასწავლო მოცულობისა და მისაღწევი შედეგებიდან გამომდინარე, შესაბამისად გაიზარდოს საგნის კრედიტი, ხოლო საგნის „სამედიცინო ეკონომიკისა და ფინანსური მენეჯმენტის საკითხები ჯანდაცვაში“ სილაბუსში ტულჩინსკისა და ვარავიკოვას თანაავტორობით გამოცემული ნაშრომის გვერდების მოცულობა მიეთითოს

3. 2.4/ სასურველია პრაქტიკისა და კვლევით ბაზებთან ხელშეკრულებებში პრაქტიკის მიზნებისა და მათ ბაზაზე დაშვებული სავარაუდო კონტიგენტის მითითება;

4. 2.6/ სასურველია, მაგისტრატურის დებულებაში დაზუსტდეს სამაგისტრო ნაშრომის განმეორებით დაცვასთან დაკავშირებული ტექნიკური უზუსტობები;

5. 3.1/ სასურველია სტუდენტების მეტი ინფორმირებულება კრედიტების განაწილების და სასწავლო პროცესის დაგეგმვის შესახებ;

6. 4.1/ სასურველია საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამართლის კურსის განხორციელებაში დამატებით ჩართულ იქნეს სამართლის დარგის სპეციალისტი;

7. 4.2/ სასურველია პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და პროფესიული განვითარების ღონისძიებათა შესახებ სრული წარმოდგენის შესაქმნელად პირადი მონაცემების მუდმივად განახლება, ერთიან ფორმაში მოყვანა;

8. 4.4/ სასურველია, პროგრამის ბიუჯეტში ნათლად იკითხებოდეს კონკრეტულ აქტივობებისა და რელევატური ღონისძიებების დაგეგმვა -ხარჯები;

8. 5.3/ სასურველია, პროგრამის გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირებისას დაიგეგმოს რელევანტური ღონისძიებები და აისახოს თვითშეფასების დოკუმენტშიც;

10. 5.3/ კარგი იქნება უნივერსიტეტმა შეიმუშავოს ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესი, ასევე, შეიმუშავოს შესაბამისი გზამკვლევები და ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის რეკომენდაციები.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- სასწავლო კურსი **„პროფესიული პრაქტიკა“,** რომელიც არის გამორჩეული შემუშავების წესი, ფორმატია და შინაარსით, შეიძლება გახდეს მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის;
- **მისასალმებელია** სპეციალურად მაგისტრანტებისთვის გათვლილი პროფილური საბიბლიოთეკო ფონდის არსებობა.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

„პროფესიული პრაქტიკის“ სილაბუსს აქვს ეფექტური და ინდივიდუალური სტრუქტურა, უზრუნველყოფს მაგისტრანტის მაქსიმალურ ჩართულობას ჯანდაცვის სისტემის სივრცეში,

შემუშავებულია დამსაქმებლებთან ერთად, აცნობს მიმდინარე პროცესებს და იძლევა პრობლემების სიღრმისეული გააზრების შესაძლებლობას. დაკორექტირებულია პროგრამის სწავლის შედეგების რუკა სილაბუსებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების შესაბამისად, პროგრამის შედეგებში მეტად გამოკვეთილია დარგის სპეციფიკა, გადამუშავებულია და გაუმჯობესებულია მენეჯმენტის, ეკონომიკის, ფინანსების მიმართულების თემატიკები, ზოგადად დახვეწილია სილაბუსების შინაარსი, მიზან-შედეგების ფორმულირება, ფორმატი, სილაბუსებს აქვთ ლოგიკური წინაპირობები, სილაბუსებში გამოყენებულია უახლესი სათანადო ლიტერატურა, (მაგ, ეპიდემიოლოგია 1, ეპიდემიოლოგია 2), სილაბუსებში დაცულია განათლების მინისტრის N3 ბრძანებით განსაზღვრული კრედიტების მინიჭების წესი.

## პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**

   პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
|---|
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამის მიზანია, სწავლის შედეგებსა და სწავლის შედეგებით გათვალისწინებული პროფესიული კომპეტენციის გამოყენებაზე ფოკუსირებული მიდგომით მოამზადოს მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტები საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში საქმიანობის, ინდივიდისა და თემის ჯანმრთელობის უზრუნველყოფაში მონაწილეობისათვის, რომელთაც ექნებათ ცოდნა და უნარები, სხვადასხვა მიმართულებით ორგანიზებული აქტივობებით მოახდინონ:<br>1. ჯანმრთელობის საჭიროებების შესაბამისი მონაცემების რეგულარული და სისტემური შეგროვება, ანალიზი და ინფორმაციის გენერირება;<br>2. სრულყოფილი, მტკიცებულებებზე დამყარებული, ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღება და შესაბამისი პოლიტიკის შემუშავება და გატარება;<br>3. მოსახლეობისათვის საჭირო სერვისების მიწოდება, სერვისების დაგეგმვის შესაბამისი ორგანიზების უზრუნველყოფით.<br><br>სწავლის შედეგები მოიაზრებს პროფესიონალურ 5 ძირითად მიმართულებაზე დაფუძნებით სამაგისტრო დონეზე ცოდნის, უნარებისა და პასუხისმგებლობის წარმოჩენას, რომელიც ლოგიკურად ბმაშია პროგრამის მიზანთან.<br><br>პროგრამის მიზნები ჩამოყალიბებულია იმგვარად, რომ სწავლის შედეგებისა და კომპეტნეციის ტექსტში მეტ-ნაკლები წარმოჩენით არის მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტის მომზადებაზე ფოკურსირება, რომელიც გადის ძირითად ქვემიზნებზე. სამივე ქვემიზანი რეალისტურია და მიღწევადი.<br>ამასთან, პროგრამის მიზანი შეესაბამება თსსუ-ის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საერთაშორისო სკოლის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიას, ასევე, ითვალისწინებს საზოგადოებრივი ჯანდაცვის თანამედროვე ბაზრის (მ.შ. სახელმწიფო და კერძო, ან საზოგადოებრივი დონე) ადგილობრივ და საერთაშორისო დარგობრივ ტენდენციებს, (გარემოს ჯანმრთელობა (https://www.ncdc.ge/#/pages/content/e09f238e-bfd5-4682-b3a5-e306b0a5392c), ქცევების ცვლილება და პოლიტიკის შემუშავება (იხილეთ ბმული: |

https://www.ncdc.ge/#/blog/blog-list/45e67ffd-00c4-4e51-bfc5-99eb702e6962 თამბაქო) გადამდები და არაგადამდები დაავადებების მართვა და სხვა ინტერსექტორიული და დარგობრივი საქმიანობები (იხილეთ ბმული: https://www.ncdc.ge/#/home, https://www.ncdc.ge/#/blog/blog-list/fec6c4ec-cbe0-4665-8a3a-24d0f7d345f5), UNDP (SDGs), ათასწლეულის მდგრადი განვითარების მიზნები, იხილეთ ბმული: https://www.ge.undp.org/content/georgia/ka/home/library/MAPS.html, 2022-2025 წლების გაეროს განვითარების სტრატეგიული გეგმის შესახებ ძირითადი საკითხებზე იხილეთ: https://www.ge.undp.org/content/georgia/ka/home/library/strategic-plan.html).

ამავდროულად, აღნიშნული ხელს უწყობს თსსუ-ის მისიის შესრულებას, მომზადდეს კონკურენტუნარიანი კურსდამთავრებულები ეროვნულ და საერთაშორისო პროფესიულ საზოგადოებაში ჰარმონიული ინტეგრაციისთვის. ჯანმრთელობა საყოველთაო ფასეულობას წარმოადგენს, რომლის დაცვა წარმოებს როგორც ინდივიდის, თემის, პოპულაციის, ასევე გლობალურ დონეზე. შესაბამისად, სწავლის შედეგები, რომელიც მიღწეულ იქნება მოცემული პროგრამის ფარგლებში, გარკვეულწილად აისახება გლობალურ ჯანმრთელობის შენარჩუნების საქმეში.

სამაგისტრო პროგრამის მიზანი იზიარებს და თავსებადია უნივერსიტეტის მიზნებსა და სტრატეგიებთან, ითვალისწინებს ქვეყნის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ სისტემაში საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესაბამისი ფუნქციის მნიშვნელობის წარმოჩენას. ამასთან, „საზოგადოებრივი ჯანდაცვის“ სამაგისტრო პროგრამა მნიშვნელოვანია ქვეყანაში როგორც თანამედროვე სტანდარტების საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურის ჩამოყალიბების და თანამედროვე მოთხოვნების კომპეტენციის, ისე მაღალი კვალიფიკაციის მქონე პროფესიონალებით უზრუნველყოფისთვის.

პროგრამის მიზანი იზიარებს და თავსებადია როგორც უნივერსიტეტის, ასევე სკოლის მიზნებსა და მისიასთან, რეალისტურია და მიღწევადი. ითვალისწინებს საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრების ტენდენციებს, მაგრამ წარმოჩენილი არაა, თუ რა ცოდნისა და უნარების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული პროგრამა. **შესაბამისად, პროგრამის მიზანში მეტი ჩაღრმავებით უნდა ჩანდეს, თუ რა ცოდნისა და უნარების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ** არის მიმართული წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- უნივერსიტეტის წესდება;
- თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მისია, ხედვა და ღირებულებები;
- თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმა;
- თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის

| |
|---|
| პოლიტიკა;<br>- უნივერსიტეტის სტრუქტურა;<br>- პროგრამის ხელმძღვანელსა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგები;<br>- დამსაქმებლებთან ინტერვიუს შედეგები. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>- რეკომენდებულია, საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამის მიზანში მეტი ჩაღრმავებით გამოიკვეთოს, თუ რა ცოდნისა და უნარების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული პროგრამა. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>➢ ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| **1.2 პროგრამის სწავლის შედეგები** |
|---|
| ➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;<br>➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;<br>➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>ბაკალავრიატისაგან განსხვავებით, საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო საფეხურზე სწავლების დარგობრივი მახასიათებელი არ არსებობს. სახელმძღვანელო პრინციპად გამოყენებულია ASPHER-ის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მაგისტრატურის კომპეტენციების შესახებ რეკომენდაციები. ASPHER-ის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სკოლების ევროპის რეგიონალური ასოციაცია, 73 ევროპული საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სკოლების ერთიანობაში მოიაზრება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდავის საერთაშორისო სკოლა, რომელიც 2008 წლიდან მისი წევრია. |

წინამდებარე პროგრამის სწავლის შედეგები ითვალისწინებს საზოგადოებრივ ჯანდაცვაში აღიარებულ 5 ძირითად მიმართულებას: ბიოსტატისტიკა, სოციალური და ქცევითი მეცნიერებები, გარემოს ჯანმრთელობა, ეპიდემიოლოგია, ჯანმრთელობის პოლიტიკა და მენეჯმენტი და მასზე დაფუძნებულ ძირითად კომპეტენციებს. სწავლის შედეგების შემუშავებისას გთვალისწინებული იქნა მიდგომა: საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროფესიონალების ფოკუსირება მოახდინონ იმაზე, გახადონ ადამიანებისა და თემების ცხოვრება უკეთესი აწმყოსა და მომავალში. წარმოდგენილი შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებისა და შინაარსის შედეგებს, რომლებიც განაპიროებებს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის განვითარების, ჯანდაცვის სისტემისა და სერვისების, პოპულაციური ჯანმრთელობის, ცოდნისა და უნარების გაუმჯობესების გამოწვევებთან გამკლავებას.

აღნიშნულს უზუნველყოფს პროგრამის შინაარსობრივი და სტრუქტურული გააზრება, სათანადო პროგრამის ცოდნის, უნარების, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის შეფასება. საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული შეძლებს მიღწეული შედეგების გამოყენებას შესაბამისი პროფილის ორგანიზაციებში, ახალი იდეების სიღრმისეულ გაცნობიერებას, ინფორმაციის რაოდენობრივ და ხარისხობრივ დახასიათებას და სტატისტიკურ დამუშავებას.

პროგრამაში სწავლის შედეგები (ცოდნა, უნარი, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა) წარმოდგენილია სწავლის შედეგების რუკაზე 3 დიფერენციაციით. სწავლის შედეგი: გაცნობა, სიღრმე, განმტკიცება, რაც მაგისტრატურის საფეხურისთვის მისაღწევი დონეების თვალნათლივ დანახვისა და შეფასების საშუალებას იძლევა. მაგალითად: აქვს საქმიანობის სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა და შეუძლია მისი კრიტიკული გააზრება, მან იცის: პროფესიული ჯანმრთელობის დარღვევის განვითარების განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორები, ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს მნიშვნელობა, გარემოს (ჰაერის, წყლის, ნიადაგის) დაბინძურების წყაროები, ჯანმრთელობაზე მათი მავნე ზეგავლენა და ამ მავნე ზემოქმედების თავიდან აცილების გზები და სხვა.

უნდა აღინიშნოს, რომ არსებული პროგრამა ფაქტობრივად მეტი ორიენტაციითა და სიღრმით არის მიმართული პროფესიული ჯანმრთლეობის მართვის საკითხებზე, რაც საქართველოს ბაზარზე ნაკლებად გვხვდება.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში პროგრამის სწავლის შედეგების შესაფასებლად შემუშავებულია „საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების წესი“, რომელშიც განსაზღვრულია სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების, ეტაპების, მეთოდებისა და პროცედურების ერთობლიობა, რაც გულისხმობს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, მათ შეგროვებას და მონაცემთა ანალიზს. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება სამაგისტრო პროგრამის შემთხვევაში ხდება 2–4 წლის პერიოდულობით.

პროგრამაში წარმოებს სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასება (შუალედური და დასკვნითი), ასევე არაპირდაპირი მეთოდებით, რაც, დამსაქმებლების შეფასებით, გამოიხატება მაგისტრანტებისა და კურსდამთავრებულების საერთაშორისო და ადგილობრივ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ღონისძიებებში წარმატებული მონაწილეობით. ბოლო 5 წლის განმავლობაში 46 კურსდამთავრებულიდან 38 წარმატებით

არის დასაქმებული დარგობრივი მიმართულების მაღალ პოზიციებზე. არაპირდაპირი შეფასების თვალსაზირისით, საკმარისად კარგი რიცხვია და აკმაყოფილებს ადგილობრივი დასაქმების მოთხოვნებს კვლევითი და მმართველობითი პოზიციების თვალსაზრისით.
საერთაშორისო დონეზე მოთხოვნადობის კიდევ მეტი გაზრდისთვის გასაუმჯობესებელი მხარეების აღწერაში ინსტიტუციას აქვს რეალისტური სამუშაო გეგმა საერთაშორისო ორგანიზაციებთან სათანადო და მრავალმხრივი პრაქტიკების უზრუნველყოფის მიზნით.

პროგრამის, საგნის გაუმჯობესების მიზნით დაწესებულება ატარებს გამოკითხვებს, კვლევებს მაგისტრანტებთან, პროფესორ-მასწავლებლებთან, დამსაქმებლებთან, რათა დინამიკაში მოახდინოს დაკვირვება სასწვალო პროცესებსა და მიღწეული შედეგებზე, აწარმოოს ანალიზი და დაგეგმოს შემდგომი გაუმჯობესების გზები.
პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ დამსაქმებლებსა და მაგისტრანტებთან გამოკითხვების ჩატარების შემდეგ მათ ბევრად გააუმჯობესეს პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი, ასევე, მისი შეფასების სისტემა.

ამასთან, ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს, ისინი აღწერენ მათ და მსჯელობენ მათ შესახებ.

თსსუ-ის საზოგადოებრივ ჯანდაცვის სკოლას განსაზღვრული პროგრამის სხვა სამიზნე ნიშნულები, ისეთი როგორიცაა:

- პროგრამის დასრულების მაჩვენებელი - 80%, (ამ ეტაპზე 68%);
- კვალიფიკაციის შესაბამისად, დასაქმების მაჩვენებელი - 89% ( ამ ეტაპზე 71%);
- კურსდამთავრებულთა შეფასების შედეგები A შეფასება არანაკლებ 7%.(ამ ეტაპზე 5,1%);
- B შეფასების საშუალო მაჩვენებლი 55%, ამ ეტაპზეა 31,17% ;
- C შეფასების საშუალო მაჩვენებელი 30%, ამ ეტაპზეა 38,75 %;
- D შეფასების მაჩვენებლი 10%, ამ ეტპაზეა 25 %.

განსაზღვრული სამიზნე ნიშნულები არის რეალისტური და მიღწევადი.
სწავლის შედეგების მიხედვით, მაგისტრანტს აქვს საშუალება, სწავლა სამეცნიერო მიმართულებით გააგრძელოს სადოქტორო საფეხურზე.
**ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამის სწავლის შედეგების რუკაში სწორადაა ასახული სილაბუსებით განსაზღვრული სწავლის** შედეგები, პროგრამის სწავლის შედეგებში გამოკვეთილია დარგის სპეციფიკა და საფეხური.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სამაგისტრო პროგრამა „საზოგადოებრივი ჯანდაცვა“;
- თვითშეფასების ანგარიში;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების წესი.
- ASPHER-ის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მაგისტრატურის კომპეტენციების შესახებ რეკომენდაციები;

| |
|---|
| ) კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები;<br>) პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს შედეგები;<br>) შრომის ბაზრის მიმოხილვა;<br>) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებსა და პროფესორ-მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგები.<br>) პროგრამის მიზნების სწავლის შედეგებთან შესაბამისობის რუკა. |
| რეკომენდაციები: |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) |
| შეფასება<br>✓ ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | X | | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
| --- |
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას. პროგრამაზე დაშვება რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული მაგისტრატურის შესახებ დებულებით. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომია.<br>- სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების უფლების მოპოვებისთვის აუცილებელია საერთო სამაგისტრო გამოცდის და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დადგენილი გამოცდების ჩაბარება; სპეციალობასა და ინგლისურ ენაში (B2) ( 50%+1-იანი ზღვარის გადალახვით). შიდა საუნივერსიტეტო გამოცდები ტარდება თსსუ-ის საგამოცდო ცენტრში, ტესტური სისტემით;<br>- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრულ გამოცდაში/ გამოცდებში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ იმ მაგისტრანტობის კანდიდატებს, რომლებმაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით წარმატებით გადალახეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი საერთო სამაგისტრო გამოცდაში;<br>- პროგრამაზე მობილობის წესით დაშვება ხდება საქართველოს კანონმდებლობითა და თსსუ-ის რეგულაციების შესაბამისად.<br><br>პროგრამაზე დაშვების წინაპირობები კავშირშია პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებსა და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. თუმცა პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, წინარე პროგრამისგან განსხვავებით, ითვალისწინებს ბაკალავრის აკადემიური ხარისხის ან მაგისტრთან გათანაბრებული აკადემიურ ხარისხის მქონე პირების დაშვებას როგორც ჯანდაცვის, აგრეთვე ბიზნესის, ადმინისტრირებისა და სამართლის სფეროდან. მნიშვნელოვანია არაჯანდაცვის კვალიფიკაციის პირებისთვის პროგრამაზე დაშვების ისეთი წინაპირობის არსებობა, რომელიც წარმოაჩენს განათლების სამაგისტრო დონის ზოგადად ჯანდაცვითი კვალიფიკაციის მქონე საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამის დასაძლევად სათანადო ცოდნისა და უნარების დადასტურებას. არაჯანდაცვითი კვალიფიკაციის პირთათვის საზოგადოებრივი ჯანდაცვისთვის რელევანტური კომპეტენციების დადასტურებას მხოლოდ ტესტური გამოცდებით, რომელიც დაწესებულებამ მოგვაწოდა მიღების ერთ-ერთ წინაპირობად, ვერ წარმოაჩენს სათანადო უნარებს. შესაბამისად, არაჯანდაცვითი კვალიფიკაციის მქონე პირთათვის საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მოითხოვს დაზუსტებას ცოდნა /უნარების ნაწილში. გარდა ამისა, საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, სხვადასხვა უნივერსიტეტი საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამებზე დაშვების წინაპირობებად მოითხოვენ არაჯანდაცვითი კვალიფიკაციის აპლიკანტებისგან ცოდნისა და უნარების |

დადასტურებას ეპიდემიოლოგიის, ბიოლოგიის/მიკრობიოლოგიის, ბიოსტატისტიკის, ჯანმრთელობის ხელშეწყობის და სხვა მიმართულებებით გარკვეული კრედიტების ქონას. მაგალითად ნორვეგია არქტიკის/ტრომსოს უნივერსიტეტი აპლიკანტისგან მოითხოვს 80 ECTS დარგობრივი კრედიტის ქონას, იხილეთ ბმული: Master Public Health at UiT the Arctic University of Norway https://en.uit.no/education/program/271255/public_health_-_master („...*For students who hold a Bachelor's degree in Social Sciences or Natural Sciences, the degree must contain a minimum 80 ECTS (or equivalent) within the fields specific to the Master's degree programme in Public Health; epidemiology, health economics, biostatistics, health sociology, global- and environmental health*“).

ზოგიერთი უნივერსიტეტი მოითხოვს როგორც მათთვის მისაღები ცოდნისა და უნარების დადასტურებას, ასევე სულ მცირე 2 წლით გარკვეულ პოზიციებზე მუშაობის გამოცდილებას (იხილეთ ბმული: Master of Public Health (MPH) – Johns Hopkins Bloomberg School of Public Health, https://publichealth.jhu.edu/academics/mph/requirements ) და სხვა.

**დაწესებულების არგუმენტირებულ პასუხთან მიმართებაში** პასუხად, ისრაელის ჰადასას ბრაუნის საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამას არ აქვს მიღების წინაპირობები, ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ ისრაელის ჰადასაჰ ბრაუნის საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მედიცინის სკოლას (The Hebrew University-Hadassah Braun School of Public Health and Community Medicine, იხილეთ ბმული https://medicine.ekmd.huji.ac.il/en/publicHealth/IMPH/Pages/requirements.aspx) აქვს საერთაშორისო საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამა, რომელზეც მიღებისას აპლიკანტს მოეთხოვება:

1) აღიარებული ინსტიტუციის მიერ გაცემულ ბაკალავრის/მაგისტრის აკადემიურ ხარისხი მედიცინა, სტომატოლოგია, საექთნო საქმე, ან სხვა ჯანდაცვით მიმართულებაში, ან ჯანმრთელობასთან რელევანტური ბიოლოგიის ან სოციალური მეცნიერებების შესაბამისი მიმართულებით (An academic degree (BA/BSc, MA/MSc, MD) in medicine, dentistry, nursing, another allied health field, or in one of the basic biological or social sciences relevant to health from a recognized university).

2) აპლიკანტს, ვისაც აქვს მხოლოდ ბაკალავრის ხარისხი, საშუალო GPA მაჩვენებელი უნდა იყოს არანაკლებ 80%-ისა (Applicants who hold only a bachelor's degree must have obtained an overall grade point average (GPA) of at least 80% in their undergraduate studies).

3) ამასთან, მხედველობაში მიიღება პრაქტიკული გამოცდილება საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში, ისევე როგორც აკადემიური მიღწევები (Practical experience in public health is taken into account as well as academic achievement).

მოწოდებულ Braun School of Public Health and Community Medicine-ის მაგალითით ჩანს, რომ MPH პროგრამაზე ჩაბარების მსურველისგან ცალსახად მოითხოვება ჯანდაცვითი, ან ბიოლოგიური ან სოციოლოგიურ ჯანმრთელობასთან რელევანტური კვალიფიკაციებიდან ერთ-ერთი, საზოგადოებრივ ჯანდაცვაში პრაქტიკულ უნარების არსებობა.

მეორე მაგალითი, რომელიც დაწესებულებამ ჩათვალა პროგრამაზე დაშვების რელევანტურ წინაპირობად, არის აშშ, ატლანტა, ჯორჯიას შტატი - ემორის უნივერსიტეტი, როლინსის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლის / Rollins School of Public Health / საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამა. საქმე ისაა, რომ როლინსის სკოლას აქვს 4 ტიპის საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამები 1. Master of Public Health (MPH); 2.Accelerated MPH for Externa Graduate/Professional Degree Student; 3.Executive MPH; 4.Master of Science in Public Health

(MSPH) /იხ. ბმული: https://www.sph.emory.edu/academics/mph-msph/index.html/. ამასთან, საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამას აქვს 10 მიმართულება და MPH პროგრამის ერთიან მოთხოვნას კიდევ ემატება კონკრეტული მიმართულების დეპარტამენტის მოთხოვნა, რაც ძალიან განსახვევბულია ერთმანეთისგან, ამიტომ განვიხილეთ მხოლოდ ერთიანი მოთხოვნა. რაც შეეხება როლინსის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლაში დაშვების წინაპირობებს, პროგრამაზე მისაღებად აპლიკანტს მოეთხოვება (იხ. ბმული: https://www.sph.emory.edu/admissions/master/requirements/index.html):

1) კოლეჯის -საბაკალავრო საფეხურის ნიშნების ფურცელი /College transcripts: They should be sent directly to SOPHAS from each of the institutions you have attended. International transcripts require a WES evaluation/.

2) სარეკომენდაციო წერილი, აკადემიური, სამუშაო და პროფესიული სივრცეებიდან /Three evaluations: We suggest you get them from your professor or advisor and/or from a recent work or professional reference/;

3) რეზიუმე/CV, სადაც აღწერილი იქნება აპლიკანტის უნარების, სამუშაო, კვლევითი და მოხალისეობრივი გამოცდილების შესახებ /A resume and be prepared to fill out a section on the application highlighting your skills, work history, research and volunteer experience/;

4) GRE ტესტის ქულა;

5) სტანდარტების მიხედვით, შესრულებული სამოტივაციო წერილი. შესაბამისი პროგრამების მიხედვით, მოწოდებული წინაპირობები გადის შიდა შეფასებებს და სათანადო შერჩევას.

*როლინსის სკოლაში ცალსახად წარმოჩენილია საზოგადოებრივი ჯანდაცვისთვის რელევანტური უნარებისა და ცოდნის არსებობის მოთხოვნა. შესაბამისად, ტესტური გამოცდები ვერ განიხილება უნარების შესაფასების საპირწონედ.*

შესაბამისად, **აუცილებელია, დაზუსტდეს პროგრამაზე არაჯანდაცვითი კვალიფიკაციის მქონე აპლიკანტებისთვის (ბიზნესის, ადმინისტრირებისა** და სამართლის სფერო) პროგრამზე მიღების წინაპირობები, რათა უზრუნველყოფილ იქნეს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა შერჩევა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სამაგისტრო პროგრამა „საზოგადოებრივი ჯანდაცვა“;
- თვითშეფასების ანგარიში;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი: https://tsmu.edu/ts/ ;
- დაწესებულების მიერ მოწოდებული საგამოცდო ტესტები;
- უცხოური პროგრამები;
- პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს შედეგები;
- პროფესორ-მასწავლებლებსა და ხარისხის სამსახურის წარმომადგენელთან ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

- რეკომენდებულია, დაზუსტდეს პროგრამაზე არაჯანდაცვითი კვალიფიკაციის მქონე აპლიკანტებისთვის (ბიზნესის, ადმინისტრირებისა და სამართლის სფერო) პროგრამზე მიღების წინაპირობები, რათა უზრუნველყოფილ იქნეს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა შერჩევა.

| |
|---|
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>➢ ☐ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი** |
| პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს, 1 ECTS კრედიტი უდრის 30 საათს, რაც მოიცავს როგორც მაგისტრანტის საკონტაქტო დატვირთვის, ისე დამოუკიდებელი მუშაობისათვის განკუთვნილ დროს. სამაგისტრო პროგრამის ხანგრძლივობაა 2 აკადემიური წელი. პროგრამა მოიცავს: სასწავლო და კვლევით კომპონენტებს.<br>პროგრამის სტრუქტურა - 90 ECTS დარგობრივი სასწავლო-პრაქტიკული კურსები: 80 ECTS სავალდებულო ( მ.შ. 10 ECTS კრედიტი -პროფესიული პრაქტიკა)<br>და 10 კრედიტი არჩევითი კურსები ( რომელსაც ირჩევს პროგრამასი მოწოდებული 21 ECTS მოცულობის მქონე არჩევითი კურსებიდან. არჩევითი საგნები არის 2 - 3 ECTS მოცულობის);<br>30 ECTS კრედიტი - კვლევითი კომპონენტი (სამაგისტრო ნაშრომის სახით)<br>პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შეესაბამება უმაღლესი საგანმანათლებლო სწავლების მეორე საფეხურს და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-7 დონეს. პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად. პროგრამის სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. |

| |
|---|
| პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.<br><br>საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამა მოიცავს 5 ძირითად მიმართულებას საგანმანათლებლო და კვლევითი მიდგომით: ბიოსტატისტიკა, სოციალური და ქცევითი მეცნიერებები, გარემოს ჯანმრთელობა, ეპიდემიოლოგია, ჯანმრთელობის პოლიტიკა და მენეჯმენტი; საგნები, რომლებიც უზურნველყოფენ მოცემული მიმართულებით კომპეტენციების ფორმირებას დალაგებულია ლოგიკური წინაპირობებით და მოწოდებულია სემესტრული განაწილებით 30 ECTS კრედიტი სემესტრში. გამოყენებულია დარგობრივი განახლებული ლიტერატურა და ითვალისწინებს ახალი მიღწევების წარმოჩენას. კვლევის კომპონენტში თემატიკები აქტუალურ საკითხებს წარმოადგენს და მრავალფეროვანია.<br><br>კურიკულუმის ფორმირებაში მონაწილეობდნენ, სტუდენტები, აკადემიური პერსონალი, დამსაქმებლები.<br>ინტრვიუების დროს განსაკუთრებით აღინიშნა პრაქტიკულ კომპონენტზე გუნდური მუშაობა (მიზნების, შედეგების, შეფასების სისტემის განსაზღვარა და სხვა) და მისით კმაყოფილება.<br>**ამდენად, პროგრამა შემუშავებულია უნივერსიტეტის მიერ დადგენილი პროგრამის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად,** შინაარსი და სტრუქტურა პასუხობს სწავლის შედეგების მიღწევას, ხოლო მისანიჭებელი კვალიფიკაცია თანხვედრაშია როგორც პროგრამის შინაარსთან, ისე სწავლის შედეგთან. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>❯ სამაგისტრო პროგრამა;<br>❯ უნივერსიტეტის ვებგვერდი: https://tsmu.edu/ts/ ;<br>❯ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესი“;<br>❯ სამაგისტრო პროგრამის კურიკულუმის რუკა;<br>❯ სასწავლო გეგმა;<br>❯ ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა<br>❯ სამაგაისტრო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები;<br>❯ ინტერვიუების შედეგები. |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>o სასწავლო კურსი „პროფესიული პრაქტიკა“, რომელიც არის გამორჩეული შემუშავების წესი, ფორმატია და შინაარსით, შეიძლება გახდეს მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის; |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>პრაქტიკის სილაბუსის გაუმჯობესება, რომელსაც აქვს ეფექტური და ინდივიდუალური |

| |
|---|
| სტრუქტურა და უზრუნველყოფს მაგისტრანტის მაქსიმალურ ჩართულობას ჯანდაცვის სისტემის სივრცეში, რომელიც აცნობს მიმდინარე პროცესებს და იძლევა პრობლემების სიღრმისეული გააზრების შესაძლებლობას. |
| **შეფასება**<br>✓ ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| **2.3. სასწავლო კურსი** |
|---|
| ➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;<br>➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამში წარმოდგენილია ძირითადი სწავლების სფეროები და სწავლის სფეროების მიხედვით მოწოდებულია როგორც ძირითადი, ასევე არჩევითი საგნები. სასწავლო კურსებთან ერთად, პროგრამაში მოწოდებული პრაქტიკული უნარების განვითარების ნაწილი ჯანდაცვის სისტემაში მრავალმხრივი ორიენტაციისა და პრობლემების დანახვის/მოძიების საშუალებას იძლევა, რაც ხელს უწყობს როგორც სასწავლო-თეორიული საგნების სიღრმისეულ კონსოლიდირებულ გააზრებას, ასევე შემდგომში დარგობრივი სფეროების მიხედვით ინტერესების წარმოჩენას სათანადო კვლევითი ნაშრომის შერჩევას.<br><br>სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსების შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს, ხოლო სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს; ასევე, საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას; საკონტაქტო საათების რაოდენობა და სხვადასხვა სწავლა-სწავლების მეთოდები შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. ამასთან, საგნებში მოწოდებული სწავლის შედეგები ფასდება, საგნების უმეტესობაში ის წარმოადგენს დასკვნითი შეფასებები ტესტური ფორმატისაა.<br><br>სასურველია, გადამოწმდეს სასწავლო კურსებში მითითებული ელექტორნული |

ინტერნეტგვერდები, მაგალითად „ანალიტიკური მეთოდები საზოგადოებრივი ჯანდაცვისათვის - საზოგადოებრივი ჯანდაცვს პროგრამების მონიტორინგი და შეფასება (მ&შ) , ხარისხობრივი კვლევის მეთოდები საზოგადოებრივი ჯანდაცვისათვის“, ვერ იძებნება https://www.measureevaluation.org/measure/training, საგანში „საზოგადოებრივი ჯანდაცვის პოლიტიკა და ჯანდაცვის პოლიტიკის ანალიზი“- http://www.ncpa.org/pub/.

საგნის „სამედიცინო ეკონომიკისა და ფინანსური მენეჯმენტის საკითხები ჯანდაცვაში“ სილაბუსში მითითებულია ნაშრომი „ახალი საზოგადოებრივი ჯანდაცვა, ფ. ტულჩინსკი, ა. ვარავიკოვა“, რომელიც გამოყენებულია სხვადასხვა სილაბუსშიც. ცნობილია, რომ აღნიშნული წიგნი მოიცავს საზოგადოებრივი ჯანდაცვის სხვადასხვა სფეროს, შესაბამისად, უნდა იყოს მითითებული გვერდი ან თავები, რომელიც სხვა საგნებიდან განსხვავებულ თემატურ ნაწილს ეხება და არ ხდება გადაფარვა.

საგანი „გლობალური ჯანმრთელობა“კრედიტი 4 ECTS - სასწავლო მოცულობით დიდია, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ გასაზრდელია კრედიტის მოცულობა, რადგან მსგავსი ლიტერატურით, სამუშაო მოცულობითა და სიღრმით არსებული სხვა საერთაშორისო უნივერსიტეტების ანალოგიური საგნები მიეწოდებათ - 4 ECTS -ზე მაღალი კრედიტებით. ექსპერტები თვლიან, რომ კარგი იქნებოდა მსგავსი პრაქტიკის გამოყენება, რაც გააუმჯობესებდა საგნის ათვისებას.

საგნის „შრომის ეპიდემიოლოგია“ სილაბუსში დამატებითი ლიტერატურის სახით გამოყენებულია რუსული ლიტერატურა: 2.5. Гигиена труда: /под ред. Н.Ф. Измерова, В.Ф. Кириллова . — М.: "ГЭОТАР- Медиа". – 2016. - 480 с. -ISBN: 5970436917. რამდენადაც სწავლების ენა ქართულია ინგლისურენოვანი სასწალო კომპონენტით, პროგრამაში კი რუსული ენის ცოდნის კომპეტენციის დადასტურება არ მოითხოვება, შესაბამისად აღნიშნული ჩანაცვლებულ უნდა იქნეს სათანადო ლიტერატურით. მიგვაჩნია, რომ სასწავლო მასალა სილაბუსში მოცემულია სრულად და კონკრეტული ფაქტი არის ტექნიკური უზუსტობა.

საგანში „საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამართლის“ ძირითად თეორიულ წყაროებად ჩამოთვლილია ინგლისურენოვანი ნაშრომები და რამდენიმე კანონი. მოცემულ შემთხვევაში სასურველია ისინი ნორმატიული აქტების ქუდქვეშ იყოს წარმოდგენილი. გარდა ამისა, მიზანშეწონილია, სილაბუსის სავალდებულო ლიტერატურას დაემატოს ამ სფეროში არსებული ქართულენოვანი ნაშრომები, რომელთა მითითება სილაბუსში და გამოყენება სასწავლო პროცესში უდავოდ წაადგებოდა სასწავლო კურსს: გორდელაძე დ., ჩაჩიბაია თ., ბიოეთიკა და სამედიცინო სამართალი, თბ., 2005; გერზმავა ო., ვასაძე ო., ვესტი დ., საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა და მენეჯმენტი, თბ., 2003; ასლანიშვილი კ., იმედაშვილი ალ., ჯავაშვილი გ., კიკნაძე ნ., მეიშვილი ზ., მირზიკაშვილი ნ., ადამიანის უფლებები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში, (2012-2013 წწ.); ახვლედიანი მ., ჯანმრთელობის დაცვის უფლების კონსტიტუციური გარანტიები საქართველოში, თბ., 2011 და სხვა. დამხმარე ლიტერატურაში კარგი იქნება, რომ მიეთითოს ამ სფეროში არსებული ქართულენოვანი სამეცნიერო სტატიებიც.

გარდა ამისა, ჩანს, რომ სასწავლო კურსის „ანალიტიკური მეთოდები საზოგადოებრივი ჯანდაცვისათვის - საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამების მონიტორინგი და შეფასება (მ&შ), ხარისხობრივი კვლევის მეთოდები საზოგადოებრივი ჯანდაცვისათვის“ სილაბუსში უახლესი ლიტერატურის ინტეგრირების საჭიროებაა. ამ საგნის სილაბუსში სასურველია, დაემატოს შემდეგი ნაშრომები: ჩ. ფრანკფორტ-ნაჩმიასი, დ. ნაჩმიასი, კვლევის მეთოდები

| |
|---|
| სოციოლოგიურ მეცნიერებებში, თბ., 2009; ლ. წულაძე, სოციოლოგიური კვლევის თვისებრივი მეთოდები, თბ., 2020.<br>საგანი „სამედიცინო ეკონომიკა და ფინანსების მენეჯმენტი ჯანდაცვაში“ აგებულია დარგში აპრობირებული ჯანდაცვის ეკონომიკისა და ფინანსების ლიტერატურებზე, შეაბამისად, თემატიკები გამართულია, მაგალითად Understanding healthcare financial management, By Louis C. Gapenski, George H. Pink - Health Administration Press, Economics for Healthcare Managers. Health Administration Lee, Robert H. 2019. Financial accounting fundamentials John J. Wild. 2009. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>o საგანმანათლებლო პროგრამა;<br>o თვითშეფასების ანგარიში;<br>o სასწავლო კურსების სილაბუსები;<br>o სწავლის შედეგებთან კავშირი;<br>o აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები;<br>o ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან ინტერვიუს შედეგები;<br>o პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს შედეგები. |
| **რეკომენდაცია** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>➢ სასურველია საგნის „საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამართალი“ სილაბუსის ლიტერატურა დამატებით შეივსოს ქართული რელევანტური ნაშრომებით; ასევე, საგნებში ინტერნეტწყაროებით მოწოდებული ლიტერატურა პერიოდულად გადამოწმდეს აქტიური ინტერნეტბმულების უზრუნველყოფის მიზნით, გასწორდეს ტექნიკური უზუსტობები;<br>➢ კარგი იქნება, სასწავლო კურსის „გლობალური ჯანმრთელობა“ სასწავლო მოცულობისა და მისაღწევი შედეგებიდან გამომდინარე, შესაბამისად გაიზარდოს საგნის კრედიტი, ხოლო საგნის „სამედიცინო ეკონომიკისა და ფინანსური მენეჯმენტის საკითხები ჯანდაცვაში“ სილაბუსში ტულჩინსკისა და ვარავიკოვას თანაავტორობით გამოცემული ნაშრომის გვერდების მოცულობა მიეთითოს |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>სილაბუსების წინაპირობები ლოგიკურია, სილაბუსებში კრედიტები გათვლილია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. საგნებს აქვს განახლებული ლიტერატურა და შინაარსი წარმოჩენილი. |
| **შეფასება**<br>➢ ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** |

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

| 2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება |
|---|
| პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარების გამომუშავებას და/ან მათ სამეცნიერო/კვლევით პროექტებში ჩართვას სწავლის შედეგებისა და საფეხურის შესაბამისად.<br>პრაქტიკული კომპონენტი დაგეგმილია პროგრამის სწავლის შედეგების გათვალისწინებით და წარმოადგენს ფართო პროფილის დარგობრივ ფორმატს (მაგალითად, პჯდ, ჰოსპიტლის, დაავადება კონტროლი) - სახელმწიფო და კერძო ინფრასტრუქტურებში თემატიკების გავლა. პრაქტიკის აღნიშნულ არეებში უზუნველყოფილია საშემსრულებლო და მცირე კვლევითი საქმიანობა. პრაქტიკის სასწავლო კურსის სწავლების ძირითადი მიზანია, ჩამოაყალიბოს პროფესიულად კომპეტენტური, საკუთარი პრაქტიკის შეფასებასა და განვითარებაზე ორიენტირებული საზოადოებრივი ჯანდაცვის სფეროს მუშაკი. პროფესიული პრაქტიკის სასწავლო კურსი ავითარებს ლიდერობისა და კომუნიკაციის; პრობლემის გადაჭრის და გადაწყვეტილების მიღების უნარებს.<br>სამაგისტრო ნაშროები შესაძლებელია შესრულდეს პროგრამის ინფრასტრუქტურულ ბაზებზეც, რაც უზურნვეყოფილია ხელშეკრულებებითა და მემორანდუმებით.<br>სასურველი იქნებოდა, პრაქტიკული და კვლევითი კომპონენტის შესრულებებისას ბაზებზე წინასწარ განსაზღვრული მაგისტრანტების სავარაუდო რაოდენობის, პრაქტიკის სილაბუსის მიზნების მითითება.<br>თსსუ-ში სტუდენტური ინიციატივებისა და სტუდენტური აქტივობების მხარდაჭერას ემსახურება სხვადასხვა სტრუქტურული ერთეული. მაგისტრანტებს შეუძლიათ, გაერთიანდნენ თსსუ-ში მოქმედ სტუდენტურ ორგანიზაციებში, სტუდენტურ თვითმმართველობასა თუ ცალკეულ საინიციატივო ჯგუფებში.<br>მაგისტრანტებს ეძლევათ საშუალება, საკუთარი პროფესიული მიღწევები წარმოადგინონ დარგობრივ კონფერენციებზე, მოამზადონ სათანადო კვლევითი სტატია და გამოაქვყნონ.<br><br>მაგისტრანტის მიერ ჩატარებულ დამოუკიდებელი კვლევის შედეგები აისახება სამაგისტრო ნაშრომში. სამაგისტრო ნაშრომის მომზადების პროცესში მაგისტრანტებს უწევთ მუშაობა ხემძღვანელებთან, მათთან კონსულტაციები არის წინასწარ განსაზღვრული სამაგისტრო პროგრამის ადმინისტრაციის მიერ.<br>წარმოდგენილი ნაშრომები შესრულებულია ინდივიდუალურად, ლიტერატურა რელევანტურია, დაცულია დაწესებულების მიერ მოწოდებული გაფორმების წესები. |

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სამაგისტრო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- ხელშეკრულებები და მემორანდუმები;
- მოწოდებული სამაგისტრო ნაშრომები.
- სტუდენტების სამეცნიერო და სოციალური აქტივობები;
- სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგები;
- გამოკითხვის შედეგები;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია პრაქტიკისა და კვლევით ბაზებთან ხელშეკრულებებში პრაქტიკის მიზნებისა და მათ ბაზაზე დაშვებული სავარაუდო კონტიგენტის მითითება.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

- ✓ ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები, ძირითადად, შეესაბამება უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას, თუმცა მეტად ეფექტური იქნებოდა მათი გამრავალფეროვნება ისეთი მეთოდების ჩართვით, როგორიცაა გონებრივი იერიში, დედუქცია-ინდუქცია, ანალიზი და სინთეზი, სოკრატესეული, კრიტიკული ანალიზი. მაგალითად, რამდენიმე საგნანში იგრძნობა ანალიტიკური უნარების გამომუშავებაზე

ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებისა და სწავლება-სწავლის მეთოდთა გამრავალფეროვნების საჭიროება, კერძოდ:

სასწავლო კურსების - „გლობალური ჯანმრთელობა“, „ჯანმრთელობის სისტემები“, „სამედიცინო ეკონომიკისა და ფინანსური მენეჯმენტის საკითხები ჯანდაცვაში,“ საგნის „ქცევითი და სოციალური მეცნიერებები ჯანდაცვისთვის“ - სილაბუსში სწავლება-სწავლის მეთოდებად უპირატესად დასახელებულია ლექცია, დისკუსიები, სიტუაციური ამოცანების დამუშავება, ჯგუფური მუშაობა, პრეზენტაცია. სასურველია, ისეთ მეთოდებზე ფოკუსირებაც როგორიცაა: გონებრივი იერიში, დედუქცია-ინდუქცია, ანალიზი და სინთეზი, სოკრატესეული, კრიტიკული ანალიზი, რომლებიც ანალიტიკური და მტკიცებულებითი აზროვნების, უნარების გამომუშავებას უწყობს ხელს. მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ, მათი ასახვა სილაბუსებში, მეორე მხრივ, აქტიურ პრაქტიკაში გამოყენება.

თსსუ-ში შემუშავებულია და მოქმედებს სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი, რომლის შემუშავების მიზანია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების მხარდაჭერა და სწავლის გაგრძელების ხელშეწყობა. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (გრაფიკის) შემუშავება ხდება:

– სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების გამო;

– საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით სწავლის გაგრძელების შეუძლებლობისა და განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების სპეციფიკის გათვალისწინებით;

ინტერვიუების დროს სტუდენტების მიერ აღინიშნა, შესაბამისი პირობების შექმნის შემთხვევაში ინდივიდუალური გეგმის სარგებლობის ხელმისაწვდომობის შესახებ.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სამაგისტრო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- სწავლება-სწავლის მეთოდები;
- პროფესორ-მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგები;
- სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგები;
- პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

- პროგრამაში აქტიურად იქნეს გამოყენებული ანალიტიკური უნარების გამომუშავებისთვის სწავლება-სწავლის მეთოდთა მეტი მრავალფეროვნება (გონებრივი იერიში, დედუქცია-ინდუქცია, ანალიზი, სინთეზი, სოკრატესეული, კრიტიკული ანალიზი და სხვა)

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში)**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
➢ ☐ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა და მთლიანობაში პასუხობს კანონმდებლობას; თითოეული სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას, შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს და გაწერილია შესაბამის სილაბუსში, თუმცა გამოვლინდა რიგი უზუსტობები, კერძოდ:
არაა მკაფიო ჩანაწერი თანახელმძღვანელის შესაძლებლობაზე, თუმცა ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ თანახელმძღვანელის შეზღუდვა არ აქვთ, პირიქით, პრაქტიკაშიც გამოუყენებიათ თანახელმძღვანელის ინსტიტუტი. სასურველია, თანახელმძღვანელის შესაძლებლობაც ჩანდეს შესაბამის დოკუმენტში.

„უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანების მე-4 მუხლის მე-19 პუნქტის თანახმად, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტისთვის გათვალისწინებულია **უარყოფითი შეფასების ორი სახე:**

ა. თუ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი შეფასდა **41-დან 50-მდე ქულით (FX),** მაგისტრანტს უფლება ეძლევა, გადამუშავებული კვლევითი **პროექტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში**;

ბ. თუ მაგისტრანტმა **მიიღო 40 ან ნაკლები ქულა (F),** მაგისტრანტი **კარგავს იგივე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარდგენის** უფლებას.

თსსუ-ის აკადემიური საბჭოს 2012 წლის 7 მაისის №24/5 დადგენილებით დამტკიცდა „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მაგისტრატურის შესახებ“ დებულება, რომლის მე-5 მუხლის 17.2.9-ე ქვეპუნქტში მითითებულია: „ორივე რეცენზენტის უარყოფითი დასკვნის ან საჯარო დაცვაზე სამაგისტრო ნაშრომის 51 ქულაზე ნაკლები შეფასების შემთხვევაში განმეორებითი დაცვა შესაძლებელია სამაგისტრო ნაშრომების მომდევნო დაცვაზე, შესაბამისი ფაკულტეტის/სკოლის საბჭოს თანხმობით“. მინისტრის ზემოთ მითითებული ბრძანების მიხედვით, აქ უნდა დაზუსტდეს, **რომელი უარყოფითი შეფასება მოიაზრება (FX თუ F)**. ამასთან, ჩანაწერი „საჯარო დაცვაზე სამაგისტრო ნაშრომი 51 ქულაზე ნაკლების შეფასებისას განმეორებითი დაცვა შესაძლებელია სამაგისტრო ნაშრომების მომდევნო დაცვაზე, შესაბამისი ფაკულტეტის/სკოლის საბჭოს თანხმობით“ უნდა დაიხვეწოს, ვინაიდან ამ შემთხვევაში

| |
|---|
| საქმე ეხება 41-დან 51-მდე შეფასების არსებობასა და გადამუშავებული კვლევითი პროექტის წარდგენას მომდევნო სემესტრში. შესაბამისად, მიზანშეწონილია, აკადემიური საბჭოს დადგეინლებაში დაზუსტდეს გარკვეული დეტალები ამ კომპონენტების ნათლად ასახვის გზით: „სამაგისტრო ნაშრომის 51 ქულაზე **ნაკლები, <u>მაგრამ მინიმუმ 41-ისა“</u>** შეფასებისას გადამუშავებული კვლევითი პროექტი წარედგინება **<u>მომდევნო სემესტრის განმავლობაში.</u>** |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>o სამაგისტრო პროგრამა;<br>o თვითშეფასების ანგარიში;<br>o „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანება;<br>o „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მაგისტრატურის დებულების შესახებ“ თსსუ-ის აკადემიური საბჭოს 2012 წლის 7 მაისის №24/5 დადგენილება;<br>o პროფესორ-მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგები;<br>o სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგები. |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>) სასურველია მაგისტრატურის დებულებაში დაზუსტდეს სამაგისტრო ნაშრომის განმეორებით დაცვასთან დაკავშირებული ტექნიკური უზუსტობები |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br>✓ ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | | X | | |

## 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

| 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება |
|---|
| სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>თსსუ-ის წესდებით სტუდენტის სტატუსი განისაზღვრება დადგენილი წესით პირის უნივერსიტეტში ჩარიცხვის მომენტიდან და მოქმედებს განსაზღვრულ შემთხვევებში, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე უნივერსიტეტთან სამართლებრივი ურთიერთობების შეწყვეტამდე.<br>დაწესებულების პერსონალი, მათ შორის სამაგისტრო პროგრამაში ჩართული პირები, უზრუნველყოფენ მაგისტრანტებისთვის აუცილებელი ინფორმაციის დროულ მიწოდებას სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად. სტუდენტი იღებს დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებულ მხარდაჭერას. სამაგისტრო პროგრამა ახორციელებს სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და დასაქმების ხელშეწყობის ღონისძიებებს. ამასთან, მაგისტრანტები მუდმივად არიან ინფორმირებულები სხვადასხვა ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტების, ღონისძიებების, კონფერენციების შესახებ, სადაც აქვთ მათ მონაწილეობის შესაძლებლობა.<br>„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სტუდენტებს უფლება აქვთ. აირჩიონ და არჩეულ იქნენ უნივერსიტეტის მართვის ორგანოებში:<br>) ფაკულტეტის საბჭოებში - 26 % შემადგენლობით, წარმომადგენლობით;<br>) საბჭოში - არანაკლების 1/3. ვინაიდან აკადემიურ საბჭოს ირჩევენ ფაკულტეტის საბჭოს წევრები. მათ ირიბად შეუძლიათ ჰყავდეთ მათ მიერ მხარდაჭერილი აკადემიური საბჭოს წევრები.<br>თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამის „საზოგადოებრივი ჯანდაცვის“ ფარგლებში სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე სათანადო ინფორმაციას. ჩარიცხვის შემდეგ სტუდენტის ინფორმირებაზე ზრუნავს როგორც დეკანატი, ასევე პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი. სტუდენტს უტარდება სათანაადო კონსულტაციები, რომლის ცხრილიც ხელმისაწვდომია როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული სახით უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე. საკონსულტაციო მუშაობის გრაფიკი დგება და საჯაროდ ხელმისაწვდომია სემესტრის დასაწყისშივე.<br>„თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის შესახებ“ დადგენილების თანახმად, სტუდენტთან აკადემიური პერსონალის საკონსულტაციო საათების რაოდენობა გამოყოფილია არანაკლებ 2 საათისა. |

| |
|---|
| საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში სტუდენტები ინფორმირებულები არიან ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებსა და ღონისძიებებში მონაწილეობის შესაძლებლობის შესახებ. ინფორმირება ხორციელდება ელექტრონული ფოსტის, ასევე, თსსუ-ის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის მეშვეობით.<br>ინტერვიურების დროს სტუდენტების ნაწილი ნაკლებად ფლობდა ინფორმაციას პროგრამის კრედიტების სემესტრული განაწილების შესახებ. შესაბამისად, სასურველია სტუდენტების მეტი ინფორმირებულება კრედიტების განაწილებისა და სასწავლო პროცესის დაგეგმვის შესახებ. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br>• სამაგისტრო პროგრამა;<br>• თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წესდება;<br>• თსსუ-ის ოფიციალური ვებგვერდი: https://tsmu.edu/ts/ ;<br>• უნივერსიტეტის შინაგანაწესი,<br>• უნივერსიტეტში სტუდენტთა მობილობის, შიდა მობილობისა და სწავლის პერიოდში მიღებული განათლების კრედიტების აღიარების წესი;<br>• თსსუ-სა და სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებების ნიმუშები;<br>• სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგები. |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>✓ სასურველია სტუდენტების მეტი ინფორმირებულება კრედიტების განაწილებისა და სასწავლო პროცესის დაგეგმვის შესახებ. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br>➢ ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| **3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა** |
|---|
| მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი. |

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს შესაბამისი პროფილის დოქტორი ან მაგისტრი, დარგში მუშაობის სულ მცირე 5 წლის გამოცდილებით, ხოლო თანახელმძღვანელი - მაგისტრი ან მაგისტრთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი. ფუნქციები მათ შორის განაწილებულია. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია სამაგისტრო ნაშრომის ხარისხზე, რაც გულისხმობს: ნაშრომის თეორიულ და პრაქტიკულ ღირებულებას, კვლევის დიზაინისა და მეთოდოლოგიის ადეკვატურობას, კვლევის პირველადი მასალის ობიექტურობასა და სარწმუნობას, ნაშრომის სტრუქტურას, გაფორმების ხარისხსა და ენობრივ გამართულობას, ნაშრომის ძირითადი შედეგების ორიგინალობას.
საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამის კვლევითი კომპონენტი ითვალისწინებს მნიშვნელოვანი მოცულობისა და შინაარსობრივი დატვირთვის პრაქტიკულ სამუშაოს სხვადასხვა მიმართულებით, პროგრამით გათვალისწინებული კურსების შესაბამისად.
სწავლების პირველ წელს, მეორე სემესტრის ბოლოს, წინასწარ დგება სავარაუდო სამაგისტრო ნაშრომების თემების ჩამონათვალი შესაბამისი ხელმძღვანელის მითითებით, სია არის ღია და ხელმისაწვდომია მაგისტრანტებისთვის, რომლებიც ირჩევენ ერთს ზემოაღნიშნული ჩამონათვალიდან. კომუნიკაციას სტუდენტები ხელმძღვანლებთან აფასებენ დადებითად.

სამაგისტრო ნაშრომის შერჩევა და შესრულება ხორციელდება პროგრამაში ჩართული აკადემიური ან მოწვეული პერსონალის მიერ. პროგრაში ჩართული სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელები ფლობენ დოქტორის აკადემიურ ხარისხს, აქვთ თეორიული და პრაქტიკული დარგობრივი საქმიანობის მდიდარი გამოცდილება, გამოქვეყნებული აქვთ არაერთი სამეცნიერო სტატია, სახელმძღვანელო, კვლევა, მონოგრაფია ადგილობრივ და საერთაშორისო გამოცემებში, გააჩნიათ სამეცნიერო-საკვალიფიკაციო ნაშრომების, საგრანტო პროექტებისა და სხვა სამეცნიერო ტიპის დარგობრივი კვლევების განხორციელების გამოცდილება.

თსსუ-ს შემუშავებული და დამტკიცებული აქვს, როგორც სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობები, ასევე სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობის პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტაცია. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს შესაბამისი პროფილის დოქტორი ან მაგისტრი, დარგში მუშაობის სულ მცირე 5 წლის გამოცდილებით, ხოლო თანახელმძღვანელი - მაგისტრი ან მაგისტრთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი. ინტერვიუირებისას სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ხელმძღვანელებთან კომუნიკაცია ძალიან ხშირია და საერთო პროცესს დადებითად აფასებენ.

**ამდენად, ექსპერტთა ჯგუფის აზრით,** მაგისტრანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელები, რომელთა ცოდნა და კომპეტენცია უზრუნველყოფს მათთვის კვლევითი უნარების გამომუშავებასა თუ სათანადო ხელმძღვანელობის გაწევას.

| |
|---|
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>- სამაგისტრო პროგრამა;<br>- სამაგისტრო პრორგამის ხელმძღვანელის პირადი საქმე;<br>- პროგრამის ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობების განმსაზღვრელი დოკუმენტი;<br>- თსსუ-ის მაგისტრატურის შესახებ დებულება;<br>- „თსსუ-ის მაგისტრატურის შესახებ დებულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ დადგენილება;<br>- სამაგისტრო თემების დაცვის შესახებ ბრძანებები;<br>- სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგები;<br>- პროფესორ-მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგები. |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br><br>➢ ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | X | | | |

## 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

| 4.1 ადამიანური რესურსი |
|---|
| ➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;<br>➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;<br>➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;<br>➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან **ირკვევა, რომ პროგრამას ახორციელებენ პირები, რომლებსაც პროგრამით დადგენილი სწავლის შედეგების** გამოსამუშავებლად აუცილებელი კომპეტენცია აქვთ. ეს დგინდება პერსონალის როგორც კვლევითი აქტივობებით, ისე შესრულებული სამეცნიერო ნაშრომებით.<br>საგანმანათლებლო პროგრამაში აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართვის უმთავრესი კრიტერიუმია სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის **აუცილებელი თანამედროვე აკადემიური ცოდნა და კომპეტენცია**, დარგში პრაქტიკული გამოცდილება.<br>აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტში მასწავლებელთა გადამზადების ცენტრის ფორმატში შემუშავდა და ამოქმედდა რამდენიმე სასწავლო მოდული.<br>საზოგადოებრივი ჯანდაცვის **სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია სულ 21 პერსონალი.** აქედან 11-ს უკავია აკადემიური თანამდებობა, **ხოლო 10 მოწვეული მასწავლებელია**. 11-დან ასეა გადანაწილებული აკადემიური თანამდებობები:<br>➢ 4 პროფესორი;<br>➢ 6 ასოცირებული პროფესორი;<br>➢ 1 ასისტენტ-პროფესორი.<br>ასევე, საყურადღებოა, რომ **მოწვეული ლექტორებიდან ოთხს დიდი პრაქტიკული გამოცდილება აქვს, კერძოდ, ქმნიან ჯანდაცვით** პოლიტიკას საქართველოში, საზღვარგარეთის ქვეყნებში კი ხშირად არის მიწვეულნი კონსულტანტის რანგში.<br>როგორც დოკუმენტაციიდან ჩანს, **აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა თანხვედრაშია სტუდენტთა რაოდენობასთან.** აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა სტუდენტთა რაოდენობასთან ასე გამოიყურება: 11/69-ზე და 9/69-ზე. რაც შეეხება **აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვას, მათი საათობრივი დატვირთვა უზრუნველყოფს** საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას, პრაქტიკული და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ჯეროვან |

შესრულებას. **აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი დაცულია,** რაც, საბოლოო ჯამში, უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობას. ასევე, აღსანიშნავია, რომ საგნის „საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამართალი“ იგრძნობა შესაბამისი პროფილის სპეციალისტის მოზიდვის საჭიროება, რადგან ვერ დგინდება კურსის განმახორციელებელთა, ერთი მხრივ, უშუალოდ ამ სასწავლო კურსში აკადემიური ხარისხი, მეორე მხრივ, სამეცნიერო ნაშრომებით მჭიდრო კავშირი აღნიშნულ სასწავლო დისციპლინასთან.

პროგრამას ჰყავს **კვალიფიციური ხელმძღვანელი, რომლის ცოდნა, კომპეტენცია და გამოცდილება პასუხობს პროგრამის შემუშავებისთვის** აუცილებელ მოთხოვნებს. ჩანს, რომ პროგრამის ხელმძღვანელი აქტიურად არის ჩართული პროგრამის განხორციელებაში. უნივერსიტეტში მოქმედებს საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის თანამდებობრივი ინსტრუქცია, რომლითაც ნათლად არის განსაზღვრული ფუნქციები:

ა. უზრუნველყოს პროგრამის განხორციელება, განვითარება და ეფექტური მართვა;

ბ. პროგრამის სრულყოფისთვის თანამშრომლობს უნივერსიტეტის ადმინისტრა-ციასთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურსა და სხვა პირებთან;

გ. ახორციელებს მონიტორინგს პროგრამის კომპონენტების მიმდინარეობაზე დეპარტამენტებში, ინსტიტუტებში, სხვა სასწავლო და კლინიკურ ბაზებზე და სხვა.

ამასთან, მართალია, დგინდება **აკადემიური და მოწვეული პერსონალის არაარსებითი დენადობა, მაგრამ პროგრამა შეივსო ახალი აროგორც** კადემიური, ისე მოწვეული პერსონალით. მაგისტრანტების რაოდენობა პასუხობს მათი ხელმძღვანელების სამუშაო დატვირთვას. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელისა და მაგისტრანტების თანაფარდობა ასე გამოიყურება: 14/50.

გარდა ამისა, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების განხორციელებას ხელს უწყობს ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, რომელსაც სათანადო კომპეტენცია აქვს. პროგრამაში არის ჩართული ორი სპეციალისტი.

ამდენად, **პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი, საბოლოო ჯამში, უზრუნველყოფს** პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სამაგისტრო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პერსონალი ინფორმაცია (CV);
- საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 5 თებერვლის N23/01 დადგენილება „საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის თანამდებობრივი ინსტრუქციის შესახებ“;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროგრამაში დატვირთვა;
- პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები და საქმიანობის წესი;
- ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის სამუშაო აღწერილობები;
- აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები;
- პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს შედეგები;

| |
|---|
| o აკადემიური/მოწვეული პერსონალის ფუნქციები და ხელშეკრულების ნიმუშები. |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>სასურველია საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამართლის კურსის განხორციელებაში დამატებით ჩართულ იქნეს სამართლის დარგის სპეციალისტი |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br><br>✓ ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება** |
| ➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;<br>➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>უნივერსიტეტში **პერიოდულად წარმოებს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული** პერსონალის შეფასება, ხოლო მიღებული შედეგები ანალიზდება ხარისხის გასაუმჯობესებლად. ამ პროცესში ელექტრონული ფორმით ჩართულია როგორც უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ისე ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი.<br>აღნიშვნის ღირსია 2019 წლიდან უნივერსიტეტის გააქტიურება აკადემიური პერსონალის პროდუქტიურობის მაჩვენებლის განსაზღრასთან დაკავშირებით. ამასთან, **უნივერსიტეტმა უზრუნველყო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ჩართვა სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების შესახებ** ტრენინგებში. პერსონალის შეფასება და შედეგების ანალიზი გამოიყენება პროგრამის შემდგომი განვითარებისთვის.<br>გარდა ამისა, **უნივერსიტეტში ფუნქციონირებს პედაგოგთა გადამზადების ცენტრი,** რომელიც რეგულარულად ატარებს აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის ტრენინგებს „სამედიცინო განათლების მეთოდოლოგიაში“.<br>უნივერსიტეტი ცდილობს, აკადემიურ **პერსონალს ხელი შეუწყოს საერთაშორისო** |

**ღონისძიებებში (კონფერენციები, კონგრესები, სიმპოზიუმები, გაცვლითი პროგრამები და სხვა) მონაწილეობის მიღებას,** ასევე, ორგანიზაციული თვალსაზრისით უზრუნველყოს უნივერსიტეტის ინიციატივით ამ სახის ღონისძიებების ჩატარება.

როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუს შედეგად დგინდება, პროგრამის განმახორციელებელი **აკადემიური პერსონალი ჩართულია თანამედროვე სწავლების და შეფასების სასწავლო** კურსებში. ეს კურსები ტარდება სამედიცინო უნიერსიტეტი მისი აკადემიური პერსონალისათვის.

თუ აკადემიური **პერსონალის კვლევით საქმიანობას დავაკვირდებით, უნდა აღინიშნოს, რომ, ძირითადად, გამორჩეულია უშუალოდ პროგრამის აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი აქტივ**ობები. სახელდობრ, ისინი მონაწილეობენ როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო კონფერენციებში, ასევე, ხშირ შემთხვევაში თავად არიან ამ ტიპის ღონისძიებების ორგანიზატორები. ამასთან, პროფესიული პრაქტიკის ხელმძღვანელებს გავლილი აქვთ ტრენინგ-პროგრამები და კურსები

როგორც დოკუმენტაციიდან ირკვევა, **პროგრამის განმახორციელებელი პროფესორ-მასწავლებლების პროფესიული ბიოგრაფია, ძირითადად, შთამბეჭდავია.** ისინი არიან ჩართული კვლევით პროექტებსა და სამეცნიერო კონფერენციებში, პროფესიული განვითარების ტრენინგებში. აკადემიური პერსონალი აქვეყნებს ნაშრომებს როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორიო რეცენზირებად სამეცნიერო ჟურნალებში, რაც ძალიან კარგია. თუმცა **რამდენიმე შემთხვევაში არსებობს ამ მიმართულებით მუშაობის გააქტიურების შესაძლებლობა, მათ შორის სწავლების თანამედროვე მეთოდებისა სფეროში. აქვე დაზუსტდა, რომ 2021 წლის მაისსა და ივნისში 73-მა პროფესორმა გაიარა სწავლება-სწავლისა და შეფასების თანამედროვე მიდგომებზე უფასო ტრენინგი.** გამოთხოვილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ 2020-2021 წლებში კიდევ სხვა ტრენინგები გაიარეს პროფესორ-მასწავლებლებმა, თუმცა ვერ ხდება ზუსტად იდენტიფიცირება, ამ პროგრამის რამდენმა ლექტორმა გაიარა ტრენინგი და რომელი თემაზე. როგორც ინტერვიუდან გამოიკვეთა, პროფესიული განვითარების კურსები ამ წელს გაიარა აღნიშნულ **პროგრამაში ჩართულმა სამმა პროფესორმა.** ამასთან, ინტერვიუდან ირკვევა, რომ პროფესორ-მასწავლებლები ამ ტიპის ღონისძიებებში ერთვებიან საკუთარი ხარჯებით ან უნივერსიტეტის თანადაფინანსებით. შესაბამისად, გასააქტიურებელია აფილირებისა და წახალისების მექანიზმები პროფესორ-მასწავლებლების მიმართ. ამასთან, ლ. საყვარელიძის სახელობის **დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრთან უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმი,** რომლის მიზანია მხარეებს შორის ორმხრივი თანამშომლობის განვითარება-განმტკიცება საზოგადოებრივი ჯანდაცვის წინაშე მდგარი ამოცანების გადასაწყვეტად, ასევე, უწყვეტი პროფესიული განვითარებისა და სტუდენტებისთვის აუცილებელი პრაქტიკული უნარ-ჩვევების ათვისებაში ხელშეწყობა. გარდა ამისა, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტსა და შპს „ვისტამედს“ შორის დაიდო მემორანდუმი, რომელიც გულისხმობს აკადემიური უმაღლესი განათლების ყველა საფეხურისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების პროგრამების განხორციელებას. ეს გარემოებები ადასტურებს, რომ ამ მიმართულებით ძვრები დაწყებულია და არის პროფესიული განვითარების ღონისძიებებსა თუ კურსების გავლის მზაობა, რაშიც უნდა იგრძნობოდეს უნივერსიტეტის მაქსიმალური მხარდაჭერა, წახალისება. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა სამ-ოთხ შემთხვევაში ბოლო 5 წლის განმავლობაში სამეცნიერო-კვლევითი აქტივობებისა და

| |
|---|
| პროფესიული განვითრების კურსების გავლის ნაკლებობა ან არარსებობა. გარკვეულ შემთხვევებში აკადემიური პერსონალის ბიოგრაფიული მონაცემების განახლებისა და ერთიან ფორმაში ასახვის საჭიროებაა. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>o სამაგისტრო პროგრამა;<br>o აკადემიური და მოწვეული პერსონალის CV;<br>o თვითშეფასების ანგარიში;<br>o უნივერსიტეტის ვებგვერდი: https://tsmu.edu/ts/ ;<br>o სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები;<br>o პერსონალის განვითარების ღონისძიებებში, პროექტებში, კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებსა და კონფერენციებში მონაწილეობა/ დამადასტურებელი დოკუმენტაცია;<br>o 2018-2021 წლებში თსსუ-ს სამედიცინო განათლების, კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტში ჩატარებული ტრენინგების შესახებ ჩამონათვალი;<br>o აკადემიურ პერსონალსა და პროგრამის წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგები;<br>o უნივერსიტეტსა და ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრთან უნივერსიტეტს შორის 2017 წლის 25 დეკემბრის მემორანდუმი;<br>o თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტსა და შპს „ვისტამედს“ შორის დადებული 2019 წლის 14 თებერვლის მემორანდუმი. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>) რეკომენდებულია პროფესორ-მასწავლებელთათვის მეტი ეფექტურობითა და ინტენსივობით პროფესიული ტრენინგების შეთავაზება-გავლა, ამ მიზნით კი ინსტიტუციის მიერ სრული მხარდაჭერა და წახალისების სისტემის ფორმირება. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>) სასურველია პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და პროფესიული განვითარების ღონისძიებათა შესახებ სრული წარმოდგენის შესაქმნელად პირადი მონაცემების მუდმივად განახლება, ერთიან ფორმაში მოყვანა |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>➢ ☐ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** |

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

### 4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

უნივერსიტეტის **უძრავ-მოძრავი ქონება სრულად აკმაყოფილებს საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი საქმიანობის განხორციელების მოთხოვნებს.** უნივერსიტეტში არის სანიტარული კვანძები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის ცენტრალური სისტემა, ასევე, დაცულია უსაფრთხოების წესები და ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებისთვის.

უშუალოდ პროგრამა ხორციელდება **უნივერსიტეტის პირველ სასწავლო კორპუსში განთავსებულ პროფილურ დეპარტამენტ**ებში, ძირითადად კი საზოგადოებრივი ჯანდაცვის, მენეჯმენტის, ეკონომიკისა და პოლიტიკის დეპარმენტში. დეპარტამენტი აღჭურვილია აუცილებელი ინვენტარითა და თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებებით.

უნივერსიტეტის დეპარტამენტში **ცალკეა წარმოდგენილი კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები.** საზოგადოებრივი ჯანდაცვის საერთაშორისო სკოლის აღჭურვილობათა არსენალში არის ლეპტოპები, კომპიუტერები, პროექტორები, მონიტორი, ერთეული საბეჭდი და ასლგადამღები ტექნიკა.

ამასთან, **უნივერსიტეტს აქვს სამაგისტრო პროგრამის შესაბამისი დამხმარე და საჭირო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო** ფართები. ასევე, ცალკეა გამოყოფილი ადმინისტრაციული სათავსოები, სივრცე ჯგუფური მუშაობისთვის.

ცალკე აღნიშვნის ღირსია **სპეციალურად საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრანტებისთვის გათვალილი მინიბიბლიოთეკა.** ბიბლიოთეკაში დაცულია სახელმძღვანელოები, რომლებიც შეძენილია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების ფარგლებში უცხოელ კოლეგების დახმარებით. ბიბლიოთეკის საქმიანობა და ფუნქციები წესრიგდება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დებულებით. ბიბლიოთეკაში შედის:

- *წიგნსაცავი;*
- *ბიბლიოთეკაში მომუშავე პერსონალის მუშაობის სივრცე;*
- *სამკითხველო დარბაზები;*
- *ჯგუფური მუშაობის სივრცე შეხვედრებისთვის;*
- *საინფორმაციო-ტექნოლოგიური აღჭურვილობის სივრცე.*

ბიბლიოთეკა **უზრუნველყოფილია უკაბელო ინტერნეტით.** როგორც სტუდენტებს, ისე პროფესორ-მასწავლებლებს აქვთ **საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე წვდომა.** ასევე, რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით უზრუნველყოფილია თავისუფალი წვდომა ისეთ საძიებო ბაზაზე, როგორიცაა

Elsevier-ი. ამასთან, უნივერსიტეტს აქვს ა(ა)იპ საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციასთან დადებული ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც ყოველწლიურად ხდება ავტომატიზებული საბიბლიოთეკო სისტემის - Koha-ს გამოყენება, რათა იმართოს ელექტრონული კატალოგი. სხვადასხვა ღონისძიების (შეხვედრები, სამაგისტრო ნაშრომების დაცვა, საინფორმაციო ლექციები და სხვა) ჩასატარებლად გამოიყენება ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზი.

უნივერსიტეტის **ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული** ლიტერატურა. სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია უახლესი პერიოდული გამოცემები. **მათი ნაწილი ინახება ბიბლიოთეკაში ბეჭდური ფორმით, ნაწილი კი - ელექტრონული ვერსიების სახით.** დისტანციური დათვალიერებისას შემთხვევითობის პრინციპით შემოწმდა რამდენიმე ნაშრომის ბიბლიოთეკაში არსებობა. მათგან ნაწილი ელექტრონულ ფორმატში მოიძებნა, ნაწილზე გარკვეული პრობლემა შეიქმნა. ამასთან, გამოვლინდა, რომ ერთ-ერთ საგანში მითითებული 2001 წლის ნაშრომის ნაცვლად, 2009 წლის ნაშრომი ჰქონიათ ბიბლიოთეკაში, რაც, ცხადია, კარგია, ვინაიდან გაცილებით ახალი გამოცემა ინახება, მაგრამ საჭიროა, სილაბუსში ამ ცვლილების ასახვა. აქვე ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ სტუდენტთა მოთხოვნა წიგნის მიღებაზე მყისიერად კმაყოფილდება ბიბლიოთეკის წარმომადგენელთა მხრიდან. თუმცა თუ მხოლოდ ბეჭდური ფორმით არის დაცული წიგნები ბიბლიოთეკაში და ასეთი ნაშრომების მიღება სურთ სტუდენტებს, მათი მოთხოვნა დამუშავების შემდეგ დაკმაყოფილდება და მაქსიმუმ 3-4 დღის განმავლობაში მიეწოდება ამ წიგნის ელექტრონული ვერსია (დასკანერების შედეგად). კარგი იქნება, ელექტრონული მომსახურების ეს ნაწილი უფრო დაიხვეწოს.

ბიბლიოთეკაში არის **საერთაშორისო ელექტრონული ბაზებზე წვდომა, შესაბამისად, სტუდენტებს შეუძლიათ უახლესი მიღწევების გაცნობა** საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში. მატერიალურ-ტექნიკური რესურსები და საბიბლიოთეკო ფონდი მუდმივად განახლებადია. პროგრამის განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს აქვთ ინფორმაცია ამ რესურსების გამოყენების თაობაზე.

აქვე საყურადღებოა, რომ **კამპუსის ყველა კორპუსი და პირველი კორპუსის მიმდებარე ეზო დაფარულ**ია მაღალი ხარისხის Wi-Fi ქსელით. უსადენო წვდომის წერტილები იმართება ცენტრალურად, კონტროლერის საშუალებით.

ამავე დროს, უნივერსიტეტში მოქმედებს **„თეატრალური დარბაზი“, რომელიც მასპინძლობს საერთაშორისო ფესტივალს სახელწოდებით „ნიღაბი“.** ამავე დარბაზში ტარდება სხვადასხვა საუნივერსიტეტო ღონისძიება (სამეცნიერო კონფერენციები, შეხვედრები, კონცერტები და სხვა). გარდა ამისა, უნივერსიტეტში არის სპორტული დარბაზი თანამშრომლებისა და სტუდენტებისათვის (აღჭურვილი შესაბამისი ინვენტარით და საშხაპეებით), კალათბურთის დარბაზი, მინიფეხბურთის ღია მოედანი.

გაფორმებული **ხელშეკრულებებისა და მემორანდუმების საფუძველზე, მაგისტრატურის საფეხურზე სწავლების მეორე წელს მაგისტრანტები** პროფესიულ უნარ-ჩვევებს ეუფლებიან პროფილურ დაწესებულებებში, რომლებიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით და უზრუნველყოფს პროგრამით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევას.

ამდენად, **უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური რესურსები, საბიბლიოთეკო ფონდი და ინფრასტრუქტურა, საბოლოო ჯამში, უზრუნველყოფს სამაგისტრო პროგრამით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევას.**

| |
|---|
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>o სამაგისტრო პროგრამა;<br>o უნივერსიტეტის სტრუქტურა;<br>o მატერიალური და ტექნიკური რესურსი;<br>o უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ვებგვერდი: http://www.tsmu.edu/lib ;<br>o უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მუდმივად განახლებადი ფონდი;<br>o თსსუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს 2012 წლის 25 ივლისის N23/6 დადგენილება „თსსუ ბიბლიოთეკის დებულების შესახებ“;<br>o ვიზუალური დათვალიერება;<br>o აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები;<br>o სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგები;<br>o სამეცნიერო ბაზები/საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე წვდომა;<br>o სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები. |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>o მისასალმებელია სპეციალურად მაგისტრანტებისთვის გათვლილი პროფილური საბიბლიოთეკო ფონდის არსებობა. |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br><br>**√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა** |
| პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>უნივერსიტეტმა წარმოადგინა **როგორც საუნივერსიტეტო, ისე პროგრამის ბიუჯეტი.** ეს იძლევა უნივერსიტეტის ფინანსების საერთო სისტემასა და კონკრეტულად პროგრამულ |

ჭრილში დანახვის საშუალებას.

ზოგადად, **საუნივერსიტეტო ბიუჯეტი შეიცავს** მონაცემებს შრომის ანაზღაურების, საქონლისა და მომსახურების, სუბსიდიების, გრანტების, სოციალური უზრუნველყოფის, სხვადასხვა ინსტიტუტის, კლინიკის, სტუდენტთა სტიპენდიებისა და სხვა ხარჯების შესახებ.

რაც შეეხება **პროგრამის ბიუჯეტს,** მის ძირითად ფინანსურ მახასიათებლებს წარმოადგენს:

- ✓ პერსონალის შრომის ანაზღაურება (პროგრამის ხელმძღვანელი, სპეციალისტი, აკადემიური და მოწვეული პედაგოგები);
- ✓ მაგისტრანტების მზადების ორგანიზაციული ხარჯები;
- ✓ მატერიალურ–ტექნიკური უზრუნველყოფისა და საუნივერსიტეტო ადმინისტრაციული ხარჯები.

უშუალოდ **საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის ერთიან ბიუჯეტში მოაზრებულია (ა) შემოსავლები და (ბ) ხარჯები.**

**ხარჯში შედის:**

- ➢ შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება;
- ➢ მივლინების ხარჯები;
- ➢ ოფისის ხარჯები.

აქვე ცალკეა **გამოყოფილი წარმომადგენლობითი, ტრანსპორტისა და ტექნიკის მოვლა-შენახვის, სოციალური უზრუნველყოფის** ხარჯები.

ასევე, შემოსავლების წყაროების შევსება **შეიძლება როგორც კვლევითი ინსტიტუტების, ისე კლინიკური ბაზებიდან** შემოსული თანხით.

გარდა ამისა, ბიუჯეტის დოკუმენტში გვხვდება „სხვა ხარჯების“ განყოფილებაც, რომელიც საჭიროებისამებრ გაუთვალისწინებელ ხარჯებს შეიძლება მოიაზრებდეს. გარდა ამისა, თუ დადგა გაუთვალისწინებელი ღონისძიებების გატარების აუცილებლობა და ეს ვერ დაიფარა უშუალოდ პროგრამის ბიუჯეტით, შესაძლოა, შეივსოს საუნივერსიტეტო ხარჯებით. შესაბამისად, როგორც ინტერვიუს მიმდინარეობისას აიხსნა, აკადემიური პერსონალის განვითარებისთვის აუცილებელი ხარჯები ცალკე არაა გამოყოფილი, მაგრამ ეს კომპონენტი მოაზრებულია საუნივერსიტეტო ბიუჯეტით გათვალისწინებულ „სხვა ხარჯებში“. ამდენად, **ინტერვიუს დროს ბიუჯეტთან დაკავშირებული** გარკვეული **გარემოებები დაზუსტდა. თუმცა** იგრძნობა პროგრამის ბიუჯეტის დოკუმენტში წლის ფარგლებში განსახორციელებელი აქტივობების (შიდა გრანტები, სამეცნიერო კონფერენ-ციები, პროფესიული განვითარების ღონისძიებები, ინფრასტრუქტურის განახლება-გამდიდრება და სხვა) უფრო ნათლად და დეტალურად გათვალისწინების საჭიროება.

როგორც ჩანს, ფინანსური გეგმის შემოსავლები და ხარჯები, ძირითადად, დაბალანსებულია. ფაქტობრივად ბიუჯეტი **ეფუძნება უნივერსიტეტის ფინანსურ შესაძლებლობებს, იგი ეკონომიკურად მიღწევადია.** დგინდება, რომ უნივერსიტეტის ბიუჯეტი, საბოლოო ჯამში, უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებასა და სწავლის მიზნების მიღწევას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

| |
|---|
| o სამაგისტრო პროგრამა;<br>o თვითშეფასების ანგარიში;<br>o უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2020 წლის 28 დეკემბრის N23/19 დადგენილება „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“;<br>o უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2020 წლის 28 დეკემბრის N23/19 დადგენილება „თსსუ-ს 2021 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის შესახებ“ (ნაერთი);<br>o დაფინანსების წყაროები;<br>o ინტერვიუს შედეგები. |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>▪ სასურველია პროგრამის ბიუჯეტში ნათლად იკითხებოდეს კონკრეტულ აქტივობებისა და რელევატური ღონისძიებების დადეგმვა -ხარჯები. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br>√ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | X | | | |

## 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და

აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

| 5.1 შიდა ხარისხის შეფასება |
|---|
| პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>როგორც დოკუმენტაციიდან ირკვევა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მექანიზმები ეფუძნება ორ მოდელს:<br>(ა) არსებული ვითარების შეფასებასა და<br>(ბ) შეფასების საფუძველზე რეკომენდაციების შემუშავება/შეთავაზებას.<br>საქმე ისაა, რომ უპირველესად ხდება ფაკულტეტის დონეზე პროგრამის განხორციელების რეჟიმში არსებული მდგომარეობის შეფასება. ამას მოჰყვება მიღებული მონაცემების შეგროვება, ანალიზი და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება, რაც ემსახურება პროგრამის გაუმჯობესებასა და განვითარებას. ამ პროცესში აქტიურადაა ჩართული ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. ის ატარებს სხვადასხვა კვლევას, ხოლო ამის საფუძველზე მიღებულ შედეგები და შეფასებები წარედგინება ფაკულტეტის საბჭოს, აკადემიურ საბჭოს, ხოლო უშუალოდ შინაარსისა და საჭიროების მიხედვით განთავსდება ვებგვერდზე.<br>როგორც გამოვლინდა, თვითშეფასების ანგარიშის შედგენაში ჩართულია აკადემიური, ადმინისტრაციული, დამხმარე და მოწვეული პერსონალი. ამის მიზანია თვითშეფასების ანგარიშზე მუშაობისას გამოვლენილი ხარვეზებისა თუ ნაკლოვანებების გასწორება, პროგრამის გაუმჯობესება.<br>უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აქტივობას ახორციელებს რამდენიმე მიმართულებით, კერძოდ, სწავლა-სწავლება, კვლევა, მართვა და სერვისები. სამსახურის მიერ წინამდებარე პროცესების სრულყოფილად განვითარების მიზნით მომზადებულია კონკრეტული რეგულაციები, პროცედურებისა და პროცესების აღმწერები, რაც დაფუძნებულია საქართველოს კანონდებლობით განსაზღვრულ რეგულაციებზე. აღნიშნული იძლევა განვითარებისა და შეფასების საშუალებას<br>შიდა მექანიზმების საშუალებით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ატარებს კვლევებს, მონიტორინგს, აანალიზებს შედეგებს.<br>ინფორმაციის გაზიარება ხდება პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალთან. პროგრამის განმახორციელებელი პირები ეცნობიან კვლევის (მათ შორის ბაზრის კვლევის) შედეგებს.<br>ხდება დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა ანალიზის დროს და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან გაუმჯობესების საკითხების დაგეგმვა. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>o თვითშეფასების ანგარიში;<br>o სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები; |

- ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო;
- დამსაქმებელთა კვლევის ანალიზი და შედეგები;
- კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგები;
- უნივერსიტეტის მისია;
- უნივერსიტეტის 2018-2024 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- ხაირსხის უზრუნველყოფის სამსახურის კვლევები;
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
- უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 7 მარტის N24/6 დადგენილება „თსსუ-ის აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების წესის შესახებ;
- ფაკულტეტის კურიკულუმის სხდომის ოქმები;
- ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

- ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

როგორც თვითშეფასების ანგარიშიდან ჩანს, პროგრამის განვითარებისა და მასში ცვლილებების განხორციელების განსახორციელებლად გაანალიზდა გარე ხარისხის შეფასების შედეგები, რათა ისინი გათვალისწინებულიყო.
სამაგისტრო პროგრამა შეაფასა გარე ექსპერტმა, რომელმაც დადებითი დასკვნა დადო.
ამასთან, პროგრამის გარე მექანიზმები გამომდინარეობს როგორც „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“, ისე „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებიდან“.

12.06 20.-ის აკრდიტაციის საბჭოს შეფასება შეეხო პროგრამის მიზნის, სწავლის

| |
|---|
| შედეგების, სილაბუსებში ლიტერატურის განახლებას, სწავლისა და რუკის კორექციას, პერსონალის ტრენინგები, სასწავლო-პროფესიული პრაქტიკის“ შეფასების სისტემისა წინაპიროებების შემუშავებას, ხარიხსხის შიდა მექანიზმების გაუმჯობესებას, სილაბუსების შინაასობრივ და ტექნიკურ გამართულობას, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N3 ბრძანებით განსაზღვრული კრედიტების გაანგარიშების წესის დაცვას, მონიტორინგის სისტემის მუშაობას. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>o სამაგისტრო პროგრამა;<br>o თვითშეფასების ანგარიში;<br>o გარე ექსპერტის შეფასება;<br>o 12.06 20.-ის აკრდიტაციის საბჭოს ოქმი, გადაწყვეტილება;<br>o ინტერვიუს შედეგები. |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br>➢ ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
| **5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება** |
| პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ პროგრამის მონიტორინგი ხდება და მასში ჩართულია აკადემიური/სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, ასევე, სტუდენტები და სხვა დაინტერესებული მხარეები. მიღებული მონაცემები გროვდება და ექვემდებარება შეფასება-ანალიზს. თუმცა ჩანს |

გარკვეული პრობლემების გამოსწორების საჭიროება, კერძოდ, **პროგრამის მონიტორინგის პროცესი მეტ დახვეწას, რათა** დაინტერესებულ პირთა უკუკავშირის გზით მიღებული შედეგები უფრო აქტიურად იყოს გამოყენებული პროგრამის გასაუმჯობესებლად. პროგრამის მონიტორინგი უნდა შეეხოს როგორც სამაგისტრო ნაშრომების შედგენის მოთხოვნების დეტალურად განსაზღვრას, პლაგიატზე შემოწმებასა და სილაბუსების გადახედვას, ისე პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ მხარეთაგან უკუკავშირის მეტად უზრუნველყოფას.

ა. მართალია, სილაბუსების ფორმატი სასურველია იყოს ერთიანი. არჩევითი საგნები აღნიშნულია ტერმინით „ელექტიური“, თუმცა უმჯობესია, სასწავლო კურსის ტიპი გადმოიცეს ქართული შესატყვისი სიტყვით „არჩევითი“.

ბ. პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს დროს გაიჟღერა, რომ სამაგისტრო ნაშრომის შემოწმებისას დასაშვებია 30%-მდე მსგავსების მაჩვენებელი, თუმცა სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებთან გასაუბრებისას აღინიშნა 40%-იანი ნიშნული. დგინდება, რომ ბუნდოვანია ასეთი პროცენტული მაჩვენებლის აღების მოტივაცია, ვინაიდან შესაძლოა, 40%-ზე ნაკლები მსგავსების დროსაც იყოს აკადემიური არაკეთილსინ-დისიერება აღმოჩენილი და ამას მხოლოდ ელექტრონული პროგრამა ტექნიკურად ვერ შეამოწმებს. აქ აუცილებელია, ნაშრომის ელექტრონული პროგრამით შემოწმების შემდეგ დარგის სპეციალისტი ჩაერთოს და დადოს საბოლოო დასკვნა დარღვევის არსებობა-არარსებობის შესახებ. ინფორმაციულობის ხარისხის გაზრდა უდავოდ წაადგებოდა ამ პროცესს. გარდა ამისა, მართალია, უნივერსიტეტში მოქმედებს თსსუ-ის მაგისტრატურის დებულება, რომლის მე-5 მუხლში არის ინტეგრირებული სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების, საჯარო დაცვისა და შეფასების წესები. თუმცა ჩანს, რომ სამაგისტრო ნაშრომის ინსტრუქცია უფრო დეტალურ ინფორმაციას უნდა შეიცავდეს იმის თაობაზე, როგორი უნდა იყოს სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურის ორგანიზება, რა უნდა იყოს კვლევის შესავალში, რა მიზანს ისახავს სამაგისტრო ნაშრომი, როგორ უნდა გადანაწილდეს თავებში საკითხები და სხვა. ამასთან, მიზანშეწონილია, სამაგისტრო ნაშრომში წყაროების მითითების წესს და რამდენიმე ნიმუშიც იყოს წარმოდგენილი. ეს მეტ ინფორმაციას მიაწვდიდა მაგისტრანტს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობასთან დაკავშირებით და გაუადვილებდა კვლევას. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტები ამბობენ, რომ მათთვის გასაგებია ყოველივე, რადგან სრული კომუნიკაცია აქვთ ხელმძრვანელთან და სხვა შესაბამის პირებთან.

გ. სამაგისტრო **ნაშრომი საჯარო დაცვაზე დაიშვება, თუ ორიდან ერთ-ერთი რეცენზენტი დადებით დასკვნას წარადგენს (1/1-ზე).** ალბათ, კარგი იქნება, მესამე რეცენზენტის მექანიზმი ამოქმედდეს, რაც უფრო დახვეწდა ამ პროცედურას.

დ. ასევე, თვითშეფასების **დოკუმენტში მე-4 სტანდარტის ბოლოს გასაუმჯობესებელი მხარეების საკმაოდ ვრცელი ჩამონათვალია წარმოდგენილი:**

- დამსაქმებლების მხრიდან ჩართულობის გაძლიერება მაგისტრანტების დაფინანსების და სხვა მხარდამჭერი ღონისძიებების კუთხით ხელს;
- ბიბლიოთეკის რესურსების და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარება;
- ორიგინალური ქართულენოვანი სახელმძღვანელოების შექმნა და აღიარებული ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოების ქართულ ენაზე თარგმნა;
- უნივერსიტეტის ვებგვერდზე სამაგისტრო პროგრამის შესახებ ინფორმაციის

განახლება;

- სასწავლო პროცესის მართვის გასაუმჯობესებლად ელექტრონული სისტემების გაძლიერება;
- ძირითადი სასწავლო (სილაბუსებში მითითებული) სახელმძღვანელოების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა არა მარტო ნაბეჭდი წიგნის სახით, არამედ ელექტრონული ვერსიებზე წვდომის საშუალებით;
- ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის შემუშავება-სწავლების, სწავლის და კვლევის ინტერნაციონალიზაცია;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის როგორც სასწავლო, ისე კვლევითი და პრაქტიკული საქმიანობის შეფასების შედეგების გამოყენება პერსონალის პროფესიულ განვითარებისათვის.

გასაუმჯობესებელი **მხარეების განსავითარებლად დაგეგმილი უნდა იყოს შესატყვისი ღონისძიებები, თვითშეფასების ანგარიშში** კი **ამ მხარეების განსავითარებლად** გვხვდება შემდეგი ჩანაწერი: „მიმდინარეობს დამსაქმებლებთან მოლაპარაკებები, რათა უზრნველყოფილი იყოს მათი მხარდაჭერა და ჩართულობა მაგისტრანტთათვის დაფინანსების მოძიებასა ქართულენივანი სახელმძღვანელოების შექმნის ხელშეწყობის საქმეში.“ ამით გასაუმჯობესებელი მხარეების მხოლოდ ორი კომპონენტი შეიძლება იყოს დაკმაყოფილებული. არადა **მიზანშეწონილია სხვა აქტივობების დაგეგმვაც და რელევანტური ღონისძიებების განსაზღვრა;**

დ. ასევე, **დამსაქმებელთა ნაწილი აღნიშნავს, რომ უნივერსიტეტთან კომუნიკაციის ნაკლებობაა და პროგრამაში მეტი ჩართულობის** აუცილებლობა იგრძნობა. ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ სამაგისტრო ნაშრომების სია არ არსებობს და სტუდენტთა ინიციატივები მიიღება მხედველობაში. თუმცა სტუდენტები ამბობენ, რომ სამაგისტრო ნაშრომების ჩამონათვალი, ძირითადად, პროგრამის ხელმძღვანელის ან კურატორის მხრიდან გადაეცემათ და ისინი აქედან ირჩევენ თემას. იკვეთება სტუდენტთა მიერ თემის სათაურის არჩევის მეტი თავისუფლების დაცვის საჭიროება.

ამასთან, „პერსონალურ მონაცემებთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, ონლაინშეხვედრების, ონლაინსწავლების ამსახველი მასალა (ფოტო, ვიდეო გამოსახულება) განიხილება ადამიანის პერსონალურ მონაცემებად. შესაბამისად, პანდემიის პირობებში პერსონალური მონაცემების დაცვასთან დაკავშირებით სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ შემუშავებული **რეკომენდაციები უნდა აისახოს ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების შესახებ წეს**ში. ამ თვალსაზრისით, გასათვალისწინებელია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული სააგენტოს 2020 წლის რჩევები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის თაობაზე. უნივერსიტეტს უნდა ჰქონდეს როგორც **გამოცდების, ისე ლექცია-სემინარებისა და საკონსულტაციო შეხვედრების ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით ჩატარების კონცეფცია** შემუშავებული. სასურველია, უნივერსიტეტის მიერ დისტანციურ სწავლებასთან დაკავშირებით რეკომენდაციებმა მოიცვას სასწავლო პროცესის სრული ციკლი.

პანდემიის პირობებში საზოგადოებრივი ჯანდაცვის სპეციალისტის ბაზარზე მიწოდება გახდა კიდევ მეტად მოთხოვნადი, ვიდრე მანამდე. კვალიფიციური სპეციალისტის მომზადება მოითხოვს კურიკულუმის, სილაბუსების მუდმივად განახლებას ხარისხის როგორც შიდა, ისე გარე მონიტორინგის თვალსაზრისით.

| |
|---|
| მნიშნელოვანია არსებული პროგრამის კურიკულუმის განხილვა-ანალიზი საზოგადოებრივ ჯანდაცვის საერთაშორისო წამყვან უნივერსიტეტების კურიკულუმებთან შედარებისთვის. შესაბამისად, მოხდება კურიკულუმის მეტად განვითრება, ინტერნაციონალიზაციის ხელშეყობა. 2020 წლის 12 ივნისის აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით, რეკომენდაციათა უმეტესობა დაკმაყოფილებულია. ამასთან, რეკომენდაციების გარკვეული ნაწილი ნაწილობრივ შესრულებულია და გამოიკვეთა მათი შესრულების მზაობაც.<br>არსებული გარემოებები, დოკუმენტაცია, გადადგმული ნაბიჯები, მდგომარეობის ჯანსაღად შეფასება და ინტერვიუებიც ადასტურებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მზაობას, მაქსიმალურად გააუმჯობესოს მიღებული შედეგები და დახვეწოს პროგრამა. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>o სამაგისტრო პროგრამა;<br>o სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები;<br>o ლექციებზე განხორციელებული მონიტორინგის ანგარიში;<br>o აკადემიური მოსწრების მონიტორინგის ანგარიში;<br>o ლექტორებთან განხორციელებული შეხვედრების ანგარიში;<br>o შრომის ბაზრისა და დამსაქმებლებთან შეხვედრების ანალიზი;<br>o „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი (მიღების თარიღი: 28.12.2011, დოკუმენტის ნომერი: N5669-რს);<br>o უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთის ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველტოფასთან დაკავშირებით განათლების გარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2020 წლის რჩევები;<br>o კურსდამთავრებულთა გამოკითხვის ანალიზი;<br>o სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;<br>o განხორციელებული აქტივობები და ცვლილებები;<br>o ინტერვიუს შედეგები. |
| **რეკომენდაციები:**<br>o კურიკულუმის ეფექტური განვითარების მიზნით როგორც შიდა, ასევე გარე ხარისხის მონიტორიგისა და სათანადო რეაგირების ღონისძიებების განხორციელების მიზნობრივი ინტენსიფიკაცია. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>● სასურველია, პროგრამის გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირებისას რელევანტური ღონისძიებები დაიგეგმოს და აისახოს თვითშეფასების დოკუმენტშიც;<br>● კარგი იქნება, უნივერსიტეტმა შეიმუშავოს ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესი, ასევე, შეიმუშავოს შესაბამისი გზამკვლევები და ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის რეკომენდაციები. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის** |

| |
|---|
| **შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>➢ ☐ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | X | | | |

**თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)**

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:**

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

**უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:**
საზოგადოებრივი ჯანდაცვა, სამაგისტრო პროგრამა

**დასკვნის გვერდების რაოდენობა: 49**

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

| სტანდარტები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | X | | | |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | | X | | |
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | X | | | |
| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | X | | | |
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | X | | | |

**აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის**

**თამარ ლობჯანიძე**

**აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის**

**ირინე ფხაკაძე**

**მიხეილ ბიჭია**

**ლანა ბოკუჩავა**